F 20'622
3

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ლ. კვირიკაშვილი

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა საარაბონო ბიბლიოთეკაში

თბილისი
1957

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ლ. კვირიკაშვილი

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა საერთო ბიბლიოთეკაში

F 20.622
3

ბ. ...ის სახ. საქ. სახელმწ. ...
საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

თბილისი
1957

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ნ. ლაიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მითითება მასობრივი ბიბლიოთეკებისა და საკლუბო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების, მათი მატერიალური ბაზის განმტკიცების შესახებ უდიდეს ამოცანებს აყენებს მასობრივი ბიბლიოთეკების წინაშე.

მასობრივმა ბიბლიოთეკებმა უნდა აამაღლონ მუშაობის იდეური შინაარსი, გააუმჯობესონ მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურეობა, აწარმოონ ლიტერატურის ფართო პროპაგანდა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებაში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებული გრანდიოზული ღონისძიებების შედეგად გაიზარდა საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა, გადიდდა საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილება წიგნზე. წიგნი ეხმარება მათ საერთო განათლებისა და საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებაში.

მკითხველების ამ გაზრდილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ბიბლიოთეკები იყენებენ საბიბლიოთეკო მუშაობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს. წიგნის პროპაგანდის სხვა საშუალებებთან ერთად ატარებენ ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს, აწვდიან ზეპირ და წერილობით ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, ადგენენ თემატურ კარტოთეკებს და სარეკომენდაციო სიებს, რაიონული პრესის, რადიოსა და წერილობით შეტყობინების საშუალებით მოსახლეობას აწვდიან ინფორმაციას ახალგამოსული ლიტერატურის შესახებ და სხვა.

საჯარო

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა ბიბლიოთეკაში განუყრელადაა დაკავშირებული მკითხველთა კითხვის ხელმძღვანელობასა და მასობრივ მუშაობასთან. მის დანიშნულებას შეადგენს მნიშვნელოვანი მოვლენების მშრომელთა ფართო მასებამდე მიტანა. ამდენად ყოველი სარაიონო ბიბლიოთეკის მუშაკი, რომელიც საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას აწარმოებს, კარგად უნდა ერკვეოდეს მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკურ მოვლენებში, ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს ცხოვრების მიერ წამოჭრილ მნიშვნელოვან საკითხებზე.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის უპირველეს ამოცანას შეადგენს მარქსიზმ ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა, პარტიისა და მთავრობის დადგენილებების, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი ამხანაგების მოხსენებების, სიტყვების, მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკური, საერთაშორისო და სხვა აქტუალური საკითხების პროპაგანდა; დახმარება რაიონის ორგანიზაცია-დაწესებულებებისადმი მათ წინაშე დასმული სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაჭრაში, მათთვის საჭირო დამხმარე ლიტერატურის შერჩევა; მეცნიერების ყველა დარგის საუკეთესო წიგნების რეკომენდება მკითხველებში, მათი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება ლიტერატურის შერჩევის გზით; რაიონის მოსახლეობის ფართო ინფორმირება ბიბლიოთეკაში არსებული რეკომენდებული წიგნებისა და ახლად გამოსული ან გამოსაცემი ლიტერატურის შესახებ, ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდა მკითხველებში და სხვ.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ადგილობრივი კულტურული და სამეურნეო მშენებლობის ამოცანებსა და მკითხველთა მოთხოვნილებებთან, ამ მუშაობაში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ფორმები და მეთოდები, როგორიცაა: ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, კითხვა-პასუხის საღამო, კითხვის ხელმძღვანელობის ინდივიდუალური გეგმები და სხვა. ამ საქმეში ჩაბმული უნდა იქნეს ადგილობრივი პრესა, რადიო. რაიონის მოწინავე ადამიანები: სოციალისტური შრომის გმირები, ნოვატორები, მექანიზატორები, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსა-

ხურეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რომელთაც უნდა გაეგზავნოს შეტყობინებები, საინფორმაციო ხასიათის წერილები. მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში გამოკრულ უნდა იქნეს განცხადებები, რომლებიც მათ აუწყებენ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დახმარების მიზნით ბიბლიოგრაფიული საინფორმაციო მუშაობის კარგ გამოცდილებას გვაძლევს თელავის 26 კომისრის სახელობის სარაიონო ბიბლიოთეკა. სანიმუშოდ მოგვყავს ბიბლიოთეკის მიერ სოფ. შალაურის კოლმეურნეობის აგრონომ ამხ. ლობჟანიძისადმი გაგზავნილი წერილის ტექსტი.

პატ. ამხანაგო!

სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, მოწინავეთა, ყველა კატეგორიის მკითხველთა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დასახმარებლად სარაიონო ბიბლიოთეკა გასცემს ზეპირ და წერილობით ცნობებს, თვითგანვითარების მიზნით მომუშავე მკითხველებს აძლევს რჩევა-დარიგებას, საწარმოო სპეციალობის ასამაღლებლად კვალიფიციურ სპეციალისტ აქტივისტ-მკითხველთა დახმარებით ატარებს კონსულტაციებს, ლექციებს, ადგენს ინდივიდუალური კითხვის გეგმებს, ურჩევს მათი პროფესიის შესაფერის და საინტერესო ლიტერატურას მოთხოვნილებისამებრ.

გთხოვთ თქვენთვის საჭირო ყოველგვარი ასეთი ცნობისათვის მიმართოთ ბიბლიოთეკას.

თელავის სარაიონო ბიბლიოთეკა

ასეთი შინაარსის წერილობითი ინფორმაცია ბიბლიოთეკამ 1956 წელს რაიონის სოფლის მეურნეობის 37 სპეციალისტსა და მოწინავეს გაუგზავნა. ინფორმაციებისა და უშუალო საუბრის საშუალებით ბიბლიოთეკამ ზემოაღნიშნული 37 კაცი თავისი მკითხველი გახდა. მათგან 17 მკითხველს ბიბლიოთეკა მომსახურებას უწევს დაუსწრებელი აბონემენტით.

საწარმოებში საინფორმაციო ხასიათის განცხადებებით კარგ მაგალითებს იძლევიან აბაშის, თიანეთის, ბაღდათისა და სხვა სარაიონო ბიბლიოთეკების მუშაკები. ასე, მაგალითად, თიანეთის სარაიონო ბიბლიოთეკამ რაიონის მექანიზებული ფერმის მუშაკთა დასასვენებელ ოთახში შემდეგი შინაარსის განცხადება გამოაკრა:

ფერმის მუშაკთა საყურადღებოდ!

საქონლის მოვლის, ნამატის შენარჩუნების, მექანიზებული ფერმის ორგანიზაციისა და მუშაობაში წამოჭრილ თქვენთვის გაუგებარ საკითხებზე ცნობებისათვის მიმართეთ სარაიონო ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკას შეუძლია თითოეულ თქვენგანს შეურჩიოს საინტერესო და საჭირო ლიტერატურა, ბიბლიოთეკის დარბაზში შეგიძლიათ ისარგებლოთ ენციკლოპედიებით, ლექსიკონებით, მეცხოველეობისა და მექანიზაციის შესახებ არსებული სხვადასხვა ცნობარებით, მეცხოველეობის საკითხებზე შედგენილი ჟურნალ-გაზეთების სტატიების კარტოთეკით და სხვ. ბიბლიოთეკა აწარმოებს აგრეთვე როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ცნობების გაცემას.

ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე გარდა სამშაბათისა,— დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. შესვენება 2 საათიდან 4 საათამდე.

ველით თქვენს შეკითხვებს.

სარაიონო ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით საჭიროა საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის გაძლიერება პარტიული განათლების ქსელისა და აგრო-ზოოტექნიკური კურსების მეცადინეობის განახლების, საგაზაფხულო თესვის, მოსავლის აღებისა და სხვა სამეურნეო-პოლიტიკურ კამპანიებთან დაკავშირებით. მსმენელებს რომ ნამდვილი პრაქტიკული დახმარება აღმოვუჩინოთ, საჭიროა ვიცოდეთ მეცადინეობის დღეები, საათები, მსმენელთა რაოდენობა, კარგად ვიცნობდეთ სასწავლო პროგრამებს და მსმენელთა ინტერესების გათვალისწინებით ვეხმარებოდეთ

შესაფერისი ლიტერატურით. გარდა ამისა, საჭიროა ბიბლიოთეკას ჰქონდეს ამა თუ იმ წრის ან კურსების მეცადინეობის შესახებ სპეციალური რვეული, რომელშიც მოცემული უნდა იყოს შემდეგი ცნობები: თითოეული მსმენელის განათლება, პროფესია, მუშაობის ადგილი და თანამდებობა, დაწესებულების დასახელება და სხვ. ეს მონაცემები დაგვეხმარება მათი კითხვის ინდივიდუალური ხელმძღვანელობისათვის შესაფერისი ლიტერატურის შერჩევის საქმეში.

პარტიული განათლების ქსელში ჩაბმულ მკითხველთა კითხვის ხელმძღვანელობისა და დახმარების კარგ მაგალითს გვაძლევს სიღნაღის სარაიონო ბიბლიოთეკა (გამგე ე. შეითნიშვილი). ბიბლიოთეკამ შეისწავლა სარაიონო ცენტრში არსებული პარტიული განათლების წრეების შემადგენლობა, მეცადინეობის დღეები და საათები, მათი სასწავლო პროგრამები. ამ საქმის მოგვარებისათვის ბიბლიოთეკა მჭიდროდ დაუკავშირდა სიღნაღის რაიონული პარტიული კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებას და მასთან შეთანხმებით ვალდებულება იკისრა ყოველმხრივ დახმარებოდა პარტიის ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეს, რომლის ერთ-ერთი მსმენელიც თვითონ ამხ. შეითნიშვილი იყო. მეცადინეობის დაწყების პირველი დღე მან მსმენელთა შორის აგიტაციისათვის ნამდვილ ტრიბუნად გამოიყენა; მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ამხანაგებს მოუთხრო პარტიის XX ყრილობის მასალების შესასწავლად ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის შესახებ. აქვე ამხ. შეითნიშვილმა სთხოვა ბიბლიოთეკის არამკითხველ მსმენელებს ბიბლიოთეკაში ჩაწერილიყვნენ მკითხველებად და მასთან ერთად შეერჩიათ საჭირო მასალები. მათვე გააცნო კითხვის გეგმების მნიშვნელობა და შეპირდა, რომ მომავალი მეცადინეობისათვის იგი შეადგენდა პარტიის XX ყრილობის საანგარიშო მოხსენების შესასწავლად ლიტერატურის სიას, რომელიც წრის ყველა წევრისათვის იქნებოდა გამოსადეგი. ასევე მოიქცა იგი პარტიის XX ყრილობის მიერ მიღებული დირექტივების, სსრ კავშირის განვითარების 1955—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესწავლასთან დაკავშირებით. თუ როგორი

დახმარება გაუწია ბიბლიოთეკამ ამ მუშაობით წრის მსმენელებს, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ამავე წრის მენარის ა. მოსაშვილის მოკლე ჩანაწერი ბიბლიოთეკის შთაბეჭდილების რვეულში, სადაც შემდეგს ვკითხულობთ: „თქვენ მიერ წრის პროგრამის მიხედვით შედგენილმა წასაკითხი წიგნების სიამ და საჟურნალო სტატიებმა დიდად შემიწყვეს ხელი უფრო ადვილად დამეძლია პროგრამა, მითითებული წყაროების დამუშავებით მოვიგე ბევრი დრო... მწამს, რომ თქვენი დახმარებით ძირფესვიანად შევისწავლი პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და ვიბრძოლებ ცხოვრებაში მათი განხორციელებისათვის.

თქვენით დიდად დავალებული ა. მოსეშვილი. 1956 წ. 16 აპრილი.“

მკითხველებმა შეიძლება ხშირად დაგვისვან რთული საკითხები, რომლებზედაც ამომწურავი პასუხის გაცემას ჩვენი ძალებით ვერ შევძლებთ. ასეთ შემთხვევაში საჭიროა დახმარებისათვის მივმართოთ პარტიისა და კომკავშირის რაიონული კომიტეტების პასუხისმგებელ მუშაკებს, პარტიულ ბიბლიოთეკას, ამავე დროს მჭიდრო კავშირი უნდა გვქონდეს რაიონში ან მეზობელ რაიონში არსებულ მხარეთმცოდნეობის ან ეთნოგრაფიულ მუზეუმთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, ტექნიკუმებთან, სკოლებთან, რესპუბლიკური და საოლქო ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიულ განყოფილებებთან. მათი დახმარებით უნდა დავაზუსტოთ დასმული საკითხების პასუხები და ისე მივაწოდოთ მკითხველს.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა სარაიონო ბიბლიოთეკაში აქტივისტ მკითხველთა დახმარებით ხორციელდება. აქტივისტ მკითხველთა რიგებში უნდა გავაერთიანოთ მოწინავე სპეციალისტები: აგრონომები, მასწავლებლები, ინჟინრები, ადგილობრივი პრესის მუშაკები და სხვ. სარაიონო ბიბლიოთეკის ყველა მუშაკი კარგად უნდა იცნობდეს რაიონის საწარმოო პროფილს, ეკონომიკასა და მის პერსპექტივებს და ამ ცოდნას იყენებდეს მკითხველთა საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურეობის დროს.

1. საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ორგანიზაცია და აპარატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველთა მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების, მათი ბიბლიოგრაფიული მომსახურეობის გადაჭრით გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად და გადამწყვეტ პირობას საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის გეგმაზომიერი ორგანიზაცია და საცნობო აპარატის მოწესრიგება წარმოადგენს.

სარაიონო ბიბლიოთეკებში საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას ძირითადად სამკითხველო დარბაზის გამგე ეწევა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკის დანარჩენი მუშაკები ვალდებული არ იყვნენ აწარმოონ ეს მუშაობა. ყველა მუშაკის მოვალეობაა მასზე დაკისრებული სამუშაოს შესრულებასთან ერთად აწარმოოს თავის უბანზე საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა. მაგალითად, აბონემენტის მუშაკი ვალდებულია ბიბლიოგრაფიული მომსახურეობა გაუწიოს მკითხველს წიგნის გაცემისა და დაბრუნების დროს. უფრო მეტიც, იმ სარაიონო ბიბლიოთეკაში, სადაც შტატით სამკითხველო დარბაზის გამგე არ არის (ცაგერის, ბათუმის, მცხეთის, კასპის, წყალტუბოს და სხვ. სარაიონო ბიბლიოთეკები), საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის წარმართვა მთლიანად აბონემენტის მუშაკს ევალება, იგივე მუშაობა მოძრავი ფონდის გამგეებსაც ეკისრებათ. მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებით დამტკიცებულია აგრეთვე, რომ იმ ბიბლიოთეკაში, სადაც ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში ბიბლიოთეკის გამგე არ იღებს აქტიურ მონაწილეობას, არ არის დაინტერესებული ამ მუშაობით, არ ხელმძღვანელობს მას, ამ სახის მუშაობა, ისე როგორც სხვა სამუშაოები, ჩარმორჩენილია. მაშასადამე, სარაიონო ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის მაღალი მაჩვენებლები მთლიანად დამოკიდებულია ბიბლიოთეკის კოლექტივის ენერგიულ მუშაობაზე და ბიბლიოთეკის გამგის სწორ ხელმძღვანელობასა და კონტროლზე.

ბიბლიოთეკის იმ მუშაკის მოვალეობაში, რომელიც ამ სახის მუშაობას აწარმოებს, შედის:

1. საცნობო-ბიბლიოგრაფიული ხასიათის ლიტერატურით წიგნადი ფონდის (საცნობარო ბიბლიოთეკის) სრულყოფილი შევსება-დაკომპლექტება.

2. ბიბლიოგრაფიული მასალებისა და ჟურნალ-გაზეთების სტატიების სისტემატური ამოწერის წარმოება.

3. თემატური კარტოთეკის ორგანიზაცია და მისი სისტემატური შევსება ახალი მასალებით.

4. ყოველდღიური საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის შესრულება.

5. რაიონის პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, რესპუბლიკურ და საოლქო ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიულ გაყოფილებებთან და სხვა. საგანმანათლებო დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირის დამყარება.

6. დახმარება რაიონის საბიბლიოთეკო დაწესებულებებისადმი საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის მოწესრიგებისა და მაღალ დონეზე აყვანის საქმეში.

7. საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ყოველდღიური აღრიცხვის წარმოება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის კარგ მაჩვენებლებს საცნობო აპარატის გეგმაზომიერი ორგანიზაცია განსაზღვრავს.

საცნობო აპარატში შედის:

1. საცნობო ბიბლიოთეკა (საცნობო და ბიბლიოგრაფიული გამოცემები).

2. მკითხველთა სისტემატური და ანბანური კატალოგი.

3. თემატური და ჟურნალ-გაზეთების სტატიების კარტოთეკები.

ა) საცნობო ბიბლიოთეკა

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ნორმალურად წარმართვის საქმეში დიდი როლი ენიჭება საცნობო და ბიბლიოგრაფიული გამოცემების სისტემაში მოყვანას. ბუნებრივია, თუ არ გვექნება მუშაობისათვის დასაყრდენი ბაზა, ე. ი. ამ

ხასიათის ლიტერატურა, ამ დარგში მუშაობას ვერ ვაწარმოებთ. გარდა იმისა, რომ იგი გვაძლევს საშუალებას მკითხველთა მომსახურეობისას, ამავე დროს იძლევა თვალსაჩინო წარმოდგენას იმის შესახებ, თუ ბიბლიოთეკის მუშაკები ფაქტიურად რა საცნობო ლიტერატურას ფლობენ და როგორ იყენებენ მას მკითხველთა მომსახურების საქმეში. ამდენად ყველა საცნობო და ბიბლიოგრაფიული გამოცემების თავმოყრა საცნობო ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკის მუშაკთა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

საცნობო სახელდახელო ბიბლიოთეკას აუცილებლად უნდა ჰქონდეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები, პარტიისა და მთავრობის დადგენილებები და სადირექტივო მასალები, საკანონმდებლო და დოკუმენტური სახელმძღვანელოები. პირველ რიგში საცნობო ბიბლიოთეკაში სრულყოფილად უნდა იქნეს წარმოდგენილი მარქსიზ-ლენინიზმის კლასიკოსების თხზულებათა სრული გამოცემები, რჩეული თხზულებანი და ცალკეულ ნაწარმოებთა უკანასკნელი გამოცემები.

გარდა იმისა, რომ უნდა გვქონდეს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა ორტომეულის უკანასკნელი გამოცემა, აუცილებელია გვქონდეს აგრეთვე მათი რჩეული წერილები და ცალკეული ისეთი კაპიტალური შრომები, როგორიცაა: „კაპიტალი“, „ლუდვიგ ფეიერბახი“, „ანტი-დიურინგი“, „ბუნების დიალექტიკა“ და სხვ. ვ. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემა (სრულად) ანბანური მაჩვენებლით. ცალკეული კაპიტალური შრომებიდან: „რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“, „რა ვაკეთოთ“, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, „იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადია“ და სხვ. ი. ბ. სტალინის თხზულებანი, ცალკეული შრომებიდან: „ლენინიზმის საკითხებისათვის“ (უკანასკნელი გამოცემა), „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“, „სსრ კავშირის დიდი სამამულო ომის შესა-

ხებ“, „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცნობო ბიბლიოთეკაში უნდა გვქონდეს აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი მასალები, როგორიცაა: „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“ (1—3 ტომი), „სკკპ 50 წელი“. მასალები საბჭოთა პრესის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებები იდეოლოგიურ, მძიმე მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვათა საკითხებზე, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გამოჩენილ მოღვაწეთა გამოსვლები, სიტყვები, მოხსენებები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ბიოგრაფიები, მოგონებანი მათზე და სხვ., კანონთა კრებულები, კონსტიტუციები, უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულებები, საკოლმეურნეო მშენებლობის სახელმძღვანელო კრებულები და მასალები, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კოდექსები და სხვ.

საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მარქსისა და ენგელსის რჩეულ გამოცემებზე თანდართული ანბანური და საგნობრივი მაჩვენებლები, ვ. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა ტომებში მოთავსებული ბიბლიოგრაფიული ქრონიკები და შენიშვნები.

მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებთა საძიებლები და ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები ჯერ-ჯერობით არ არის გამოცემული. ამიტომ ყველა სარაიონო ბიბლიოთეკის აუცილებელი მოვალეობაა ჰქონდეს მარქსიზმის კლასიკოსთა ამ ორი ბუმბერაზის მოღვაწის ნაწარმოებთა ანალიტიკური კარტოთეკა რუსულ და ქართულ ენებზე რჩეული ორტომეულის უკანასკნელი გამოცემის მიხედვით. კარტოთეკაში ჯერ განლაგდება ბარათები მარქსის შრომებისა და ნაწარმოებისა სათაურის პირველი სიტყვის ანბანის მიხედვით, შემდეგ ამავე წესით გაიწყობა ენგელსის შრომები, სტატიები და წერილები, რომელშიაც გაუკეთდება გამყოფი „ფ. ენგელსის ნაწერები“. აღწერილობა ბარათებზე წარმოებს „ბეჭდვითი ნაწარმოებთა აღწერილობის ერთიანი წესების“ მიხედვით, ანალიტიკური აღწერილობის პრინციპების შესაბამისად. (იხ. წიგნში—„ბე-

ჭდვით ნაწარმოებთა აღწერილობის ერთიანი წესები. 1954. გვ. 162—166).

ვ. ლენინის ნაწარმოებთა ანბანური საძიებლისა და ი. ბ. სტალინის შრომების სრული ბიბლიოგრაფიის გამოცემის გამო ბიბლიოთეკის მუშაკები განთავისუფლდნენ ამ ნაწარმოებთა ანალიტიკური კარტოთეკის შედგენისაგან და აღნიშნული ბიბლიოგრაფიული წყაროების სრულყოფილ ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას უწევენ მკითხველებს ლენინისა და სტალინის ნაწარმოებთა შერჩევა-მოწოდების დროს.

მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებთა ანალიტიკური კარტოთეკისა და ლენინისა და სტალინის ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიული წყაროების საშუალებით ბიბლიოთეკარი სწრაფად, დროულად და ზუსტად აწვდის მკითხველს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა იმ შრომას, რომელსაც იგი ითხოვს, ვინაიდან კარტოთეკა გვეხმარება სწორედ იმ ტომს მივმართოთ, ზუსტად ის გვერდი გადავშალოთ, სადაც ესა თუ ის ნაწარმოებია მოთავსებული, და არ დავიწყოთ მოთხოვნილი ლიტერატურის სხვა ტომებში ძებნა, ამა თუ იმ ტომის სარჩევის გადათვალიერება, მკითხველი არ ვალოდინოთ და ჩვენც არ დავხარჯოთ ზედმეტი შრომა და დრო.

საცნობო ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საცნობარო და ბიბლიოგრაფიული გამოცემების მაქსიმალურ გამოყენებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ისეთი უნივერსალური და სპეციალური საცნობარო სახელმძღვანელოები და საცნობარო ლიტერატურა, როგორიცაა: დიდი საბჭოთა ენციკლობედია (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა), სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, ტექნიკური და სხვა ხასიათის ენციკლოპედიები, მეცხოველეობის, კოლმეურნეების, ტრაქტორისტების, დიასახლისების, და სხვა კატეგორიის მკითხველებისათვის განკუთვნილი ცნობარები, უცხო სიტყვათა, ფილოსოფიური, იურიდიული, პოლიტიკური, განმარტებითი ლექსიკონები, ყოველწლიური კალენდრების და სხვა.

საცნობო მუშაობისათვის საჭიროა გვქონდეს აგრეთვე ისეთი საცნობარო მასალები, როგორიცაა: უმაღლესი სკოლა,

სკოლებსა და საერთოდ განათლების შესახებ არსებულ დადგენილებათა კრებულები, ინსტრუქციები, ბრძანებები და სხ. მკითხველთათვის სასარგებლო საცნობო წყაროს წარმოადგენს ისეთი ცნობარები, როგორიცაა; სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციული დაყოფა; უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და საშუალო სკოლის სტუდენტ-მოსწავლეთათვის მეტად საჭირო და სასარგებლო საცნობო ლიტერატურაა სასწავლო პროგრამები, გეოგრაფიული ატლასები. განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა ვეკიდებოდეთ აგრეთვე პარტიული განათლების ქსელის, თვითგანვითარებით მომუშავე და აგრო-ზოოტექნიკური კურსების მსმენელთა სასწავლო პროგრამების, პრაქტიკული და დამხმარე სახელმძღვანელოების შეგროვებას.

როგორც წესი, ყველა სარაიონო ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის აუცილებელ სახელმძღვანელოებს წარმოადგენს კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მიერ როგორც სტამბურად, ისე სტეკლოგრაფზე დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოები, ანოტირებული საძიებლები, სარეკომენდაციო სიები და სხვა ბიბლიოგრაფიულ-მეთოდური მასალები. სარაიონო, საქალაქო, საბავშვო და სხვა ტიპის ბიბლიოთეკები აქტიურად უნდა იყენებდნენ ისეთ მნიშვნელოვან ბიბლიოგრაფიულ წყაროებს, როგორიცაა: „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (ნაკვეთი I, II, III). „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (ტ. 1—II). (მზადაა გამოსაცემად მე-3 ტომი). „ახლად შემოსული ლიტერატურის საინფორმაციო ბიულეტენები“. პარტიის XX ყრილობის, 1905—1907 წლების რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის, მეცნიერულ-ათეისტურ, სასოფლო-სამეურნეო და სხვა თემებზე არსებული ანოტირებული საძიებლები, ასევე სარეკომენდაციო სიები აქტუალურ თემებზე და სხვა მასალები.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობისათვის აუცილებელი სახელმძღვანელო წყაროებია აგრეთვე საქართველოს სსრ წიგნის პალატის ისეთი ბიბლიოგრაფიული გამოცემები, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორიცაა: „ქართული წიგნი (ბიბლიოგრაფია)“ (ტ. 1 და 2. ნაკ. 1 და 2); „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“, „ჟურნალ „მნათობის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, წიგნის, ჟურნალისა და გაზეთების სტატიების მატიანეები და სხვ. საკავშირო წიგნის პალატის, ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო, სალტიკოვ შედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის, მოსკოვისა და ლენინგრადის საბიბლიოთეკო ინსტიტუტების ბიბლიოგრაფიული ჟურნალები, ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოები და სხვა საცნობო გამოცემები. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის, „საბლიტგამის“, „საბჭოთა მწერლის“, „ტექნიკა და შრომის“ და სხვა გამომცემლობათა გამოცემების კატალოგები, სხვადასხვა ხასიათის საცნობო და დამხმარე ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა.

საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ ხშირად ესა თუ ის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი, ცნობარი, სია და სხვა გარკვეული პერიოდის (წლების) გავლის შემდეგ შინაარსობრივად ძველდება. ასეთი ბიბლიოგრაფიული მასალა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ამოღებული ხმარებიდან. ბიბლიოთეკის მუშაკს ერთი წუთითაც არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ამა თუ იმ თემაზე სტამბურად დაბეჭდილი საცნობო-ბიბლიოგრაფიული ლიტერატურის გამოცემის შემდეგ ბევრი რამ იცვლება, ცხოვრება ყოველ საათობით წინ მიდის და ახალ-ახალი წიგნები, ახალ-ახალი საჟურნალო და საგაზეთო მასალები ემატება ჩვენი საბჭოთა ბიბლიოთეკების ფონდს, რომლებიც ბუნებრივია გამოცემულ ცნობარში, მაჩვენებელში ან სხვა ბიბლიოგრაფიულ გამოცემებში არ იქნება შესული. ამ შემთხვევაში ყველა საბჭოთა ბიბლიოთეკის მუშაკის მოვალეობაა მკითხველთა მომსახურების დროს ისარგებლოს გამოსული ბიბლიოგრაფიული მასალით, კატალოგის, კარტოთეკის, მატიანეებით და ამასთან ერთად სხვა საშუალებების მოხერხებული გამოყენებით შეუფერხებლად მიაწოდოს მკითხველს ახალი რეკომენდებული მასალები.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობისადმი გულისყურიანი, შემოქმედებითი და ბეჯითი მიდგომა სრულ შესაძლებლობას აძლევს

ბიბლიოთეკარს მკითხველი იყოლიოს ახალი ლიტერატურის გამოცემის კურსში, მომზადებული შეხვდეს მკითხველთა მრავალფეროვან მოთხოვნილებებს, დაეხმაროს მათ საწარმოო კვალიფიკაციისა და იდეურ პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში, დაიმსახუროს მშრომელთა შორის წიგნის პროპაგანდის საუკეთესო ოსტატის სახელი და გააღრმაოს ბიბლიოთეკის მუშაობის შინაარსი, გაზარდოს მისი ავტორიტეტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Г 20.699
3

2. კატალოგების, თემური კარტოთეკების ორგანიზაცია და მათი გამოყენება საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში

ა) კატალოგი

საბიბლიოთეკო კატალოგი საბჭოთა ბიბლიოთეკაში წარმოადგენს მკითხველთა კითხვის ხელმძღვანელობის, წიგნის შერჩევისა და პროპაგანდის აუცილებელ საშუალებას. იგი ამავე დროს საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის სრულყოფილად წარმართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან საშუალებათაგანია, სრულყოფილად შედგენილი კატალოგი, როგორი ხასიათისაც უნდა იყოს იგი—სისტემატური თუ ანბანური, წარმოადგენს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მეგზურს, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ფონდის მაქსიმალური გამოყენება, წიგნის აქტიური პროპაგანდა, მკითხველთა ფართო ფენებამდე მიტანა, საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის სათანადო დონეზე დაყენება. ჩვენი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის ყოველდღიური ზრდა საკატალაგო მეურნეობის დროულად მოწესრიგების მნიშვნელობას კიდევ უფრო ადიდებს, რადგან ბიბლიოთეკაში კატალოგის არარსებობის შემთხვევაში ბიბლიოთეკარი ისეთ მდგომარეობაში ვარდება, როგორც უკომპასო გემი ბურუსიან და ცუდ ამინდში მოძრაობის დროს. იმ ბიბლიოთეკაში, სადაც საკატალოგო მეურნეობა მოუწესრიგებელია, მუშაობის ძირითადი მაჩვენებლებიც დაბალია.

ჩვენი რესპუბლიკის მეტწილ სარაიონო ბიბლიოთეკებში კატალოგების საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელია. ამ საკითხს აქ იმდენად ვეხებით, რამდენადაც იგი საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობისათვისაა საჭიროა. სისტემატური კატალოგით საშუალება გვეძლევა მკითხველს მისთვის საინ-

საჯარ

ტერესო თემის ირგვლივ შევურჩიოთ რეკომენდებული ლიტერატურა მეცნიერების ყველა დარგიდან.

ბარათები აღნიშნულ კატალოგში განლაგებულია ცოდნის დარგების მიხედვით, საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის სქემის შესაბამისად. ანბანური კატალოგის საშუალებით კი შეგვიძლია გავიგოთ, არის თუ არა ბიბლიოთეკაში ამა თუ იმ ავტორის ჩვენთვის საჭირო წიგნი, ანდა მისი რომელი ნაწარმოები არსებობს ბიბლიოთეკაში. მკითხველს ვუსახელებთ მათ და მისი ინტერესების შესაბამისად ვურჩევთ წასაღებად. ამგვარად, როგორც სისტემატური, ისე ანბანური კატალოგის საშუალებით მკითხველს ვეჰსახურებით მისთვის საინტერესო და საჭირო ლიტერატურით, ამავე დროს ვუქმნით ხელშემწყობ პირობებს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის აქტიურად გამოყენებისათვის. პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კატალოგების უქონლობა ბიბლიოთეკაში აძნელებს ფონდის მაქსიმალურ გამოყენებას და თითოეული მაღალიდეური წიგნის მკითხველებამდე მიტანას, ართულებს საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას.

საკატალოგო მეურნეობის მოწესრიგებისა და საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის დროს მის გამოყენებაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკის მიერ წიგნების მიმდინარე პროდუქციაზე შედგენილ და საკავშირო წიგნის პალატის მიერ ბიბლიოთეკების ტიპების მიხედვით სისტემატურად გამოცემულ ანოტირებულ ბარათებს. აღნიშნული ბარათები, რომლებიც საოლქო, საქალაქო, სარაიონო, საბავშვო და სასოფლო ბიბლიოთეკების პროფილების მიხედვით გამოდის, უკვე დიდი ხნის მანძილზე აქტიურადაა გამოყენებული რსფსრ-სა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ბიბლიოთეკების მუშაობის პრაქტიკაში.

სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის მეტწილ სარაიონო და სხვა ბიბლიოთეკებში ანოტირებული ბარათების გამოყენება რუსულ ლიტერატურაზე უგულებელყოფილია. აქვე დავსძენთ, რომ ჩვენი ბიბლიოთეკების ფონდების რუსული ნაწილის დამუშავება, კლასიფიკირება, აღწერილობა და მათი საკატალაგო

ბარათებზე გადატანა სხვადასხვა მიზეზების გამო ხარისხიანად არ ხდება. ანოტირებული ბარათების აქტიური გამოყენების შესაძლებლობას იძლევა მათი სიიაფე (წლიური კომპლექტის ღირებულება სარაიონო ბიბლიოთეკებისათვის შეადგენს 120 მანეთს). ამ ბარათების გამოწერა შეიძლება „სოიუზპეჩატის“ ყველა სარაიონო განყოფილების საშუალებით. ბარათების მოხერხებული გამოყენება იძლევა დროისა და შრომის დიდ ეკონომიას, რადგან, გარდა იმისა, რომ ბარათზე მოცემულია წიგნის მოკლე ანოტაცია, ე. ი. გახსნილია მისი შინაარსი, ბარათი შეიცავს აგრეთვე წიგნის სრულ აღწერილობას, შიფრს, რომლის შედგენა-მოძებნისათვის ბიბლიოთეკარს აღარ სჭირდება დროის დაკარგვა, შიფრი პირდაპირ გადადის წიგნზე, ხოლო ბარათი ჩაირთვება შესატყვის განყოფილებებში. ანოტირებულ ბარათთა ძირითად კომპლექსს თან მოსდევს დამატებით ბარათთა კომპლექტი იმ წიგნებისათვის, რომლებსაც ორი ან მეტი ინდექსი აქვს, ისინი ჩართული უნდა იქნეს კატალოგის შესატყვის განყოფილებებში. გარდა ამისა, ანოტირებული ბარათების მოხერხებული გამოყენებით შესაძლებლობა გვეძლევა შევადგინოთ თემატური კარტოთეკები, ჩავატაროთ ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, მოვაწყოთ ახლად მიღებული წიგნების გამოფენები, შევადგინოთ მკითხველთა კითხვის ხელმძღვანელობის გეგმები და სხვ.

სასურველია სარაიონო ბიბლიოთეკას გამოწერილი ჰქონდეს ანოტირებულ ბარათთა ორი კომპლექტი, ერთი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს კატალოგის ორგანიზაციაშევსებისათვის, მეორე—კარტოთეკების, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვებისა და სხვა საცნობო საშუალების შედგენა-გამოყენებისათვის. ბუნებრივია, მიღებული ყველა ბარათის შესაბამისი წიგნი ბიბლიოთეკაში არ გვექნება ან ვერ მივიღებთ, მაგრამ ეს ეგრეთ წოდებული „ზედმეტი“ ბარათები არ უნდა გადავყაროთ. სასურველია აღნიშნული „ზედმეტი“ ბარათებისაგან შევადგინოთ სისტემატური კატალოგის პრინციპზე აგებული კარტოთეკა და გამოვყოთ ცალკე. ასეთი სახის კარტოთეკა ბევრ რამეში დაგვეხმარება. სახელდობრ:

1. იგი საშუალებას მოგვცემს მკითხველებს მივაწოდოთ ინფორმაცია იმ ახალი წიგნების შესახებ, რომლებიც გამოცემულია და ჩვენს ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება; ბარათებზეა მოცემული ანოტაციების საშუალებით გავაცნოთ მათი შინაარსი. აქვე უნდა ვუთხრათ მკითხველს, რომ ასეთი წიგნების მიღება ჩვენ შეგვიძლია, თუ მათ მოვითხოვთ ბიბლიოთეკათშორისო აბონემენტის წესით რესპუბლიკის სხვა ბიბლიოთეკებიდან.

2. კარტოთეკა გვეხმარება აგრეთვე ფონდის შევსება-დაკომპლექტების საქმეში; შესაძლებლობა გვეძლევა შევადგინოთ ბიბლიოთეკაში არ არსებული და მკითხველთათვის საჭირო წიგნების სია და ამ სიის საშუალებით შეკვეთა მივცეთ საბიბლიოთეკო კოლექტორსა და საქწიგნის მაღაზიებს.

3. ამ კარტოთეკას გამოვიყენებთ აგრეთვე მკითხველთა დიფერენცირებული მომსახურებისა და სარეკომენდაციო სიების შედგენის დროს.

ბ) კარტოთეკები

რეკომენდებული ლიტერატურის პროპაგანდის, მკითხველთა კითხვის ხელმძღვანელობისა და საერთოდ ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის სათანადო სიმაღლეზე აყვანის საქმეში ერთ-ერთი წამყვანი როლი ენიჭება გეგმაზომიერად და სწორ პრინციპებზე აგებულ ბიბლიოგრაფიულ კარტოთეკებს. როგორი სახისაც უნდა იყოს კარტოთეკა— დროებით თუ მუდმივი, თემატური თუ სპეციალური, — იგი მაინც ავსებს მასობრივი ბიბლიოთეკის კატალოგებს.

როგორც ცნობილია, კატალოგი სარაიონო ბიბლიოთეკაში მხოლოდ და მხოლოდ ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს მოიცავს და მასში საბჭოთა პერიოდიკის მასალები მკითხველთათვის არ არის წარმოდგენილი, სარაიონო ბიბლიოთეკის კატალოგის ამ მეტად მნიშვნელოვან ხარვეზს ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები ავსებენ. კარტოთეკა თავს უყრის ჟურნალ გაზეთების მასალებს და კარტოთეკის თემის შესაბამის წიგნებთან ერთად სწორი სისტემატიზაციის საშუალებით შესაძლებლობას გვაძლევს მკითხველებს მოთხოვნილებისთანავე

მივაწოდოთ მაღალიდეური საჭირო მასალები. ხშირად მიმდინარე ცხოვრების მიერ წამოჭრილი სახელმძღვანელო, სადირექტივო მასალები იბეჭდება პრესაში და წიგნებად ან ბროშურებად გამოცემა სხვადასხვა მიზეზების გამო გვიანდება, ხან კი სტამბურად (წიგნად) სულაც არ გამოდის, კარტოთეკა ერთ-ერთი მოქნილი საშუალებაა ასეთ მასალებზე მკითხველთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ბიბლიოგრაფიულმა კარტოთეკამ რომ ძასზე დაკისრებული ამოცანა შეასრულოს, იგი ლიტერატურის შერჩევის პრინციპით, აგებულებითა და მასალების სისტემატიზაციით ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს მკითხველთა შემადგენლობასა და ინტერესს, ბიბლიოთეკის პროფილს, რაიონის საწარმოო თავისებურებასა და ყოველდღიური ცხოვრების ამოცანებს. ყველა ამ საკითხის გათვალისწინებით უნდა შეირჩეს კარტოთეკის თემა და სახე, დაზუსტდეს რუბრიკებისა და განყოფილებების მიხედვით ლიტერატურის დაჯგუფების პრინციპი, მისი გაფორმების ტექნიკური საკითხები და სხვ.

ბიბლიოგრაფიული კარტოთეკის ერთ-ერთ დადებით მხარეს მისი ელასტიურობა წარმოადგენს; ყოველთვის შეიძლება მისი შემოწმება, მოძველებული მასალებისაგან გაწმენდა და ახალი მასალების ჩართვა (რასაც სტამბურად გამოცემული ბიბლიოგრაფიული მასალები მოკლებული არიან). ამ მეტად მნიშვნელოვანი თვისების გამო კარტოთეკა სარეკომენდაციო ხასიათის მატარებელია, სწორედ ამიტომ იგი მუდამ შეიძლება შეეფარდებოდეს მკითხველთა ინტერესებს, აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნებს, შეეფარდებოდეს რაიონის საწარმოო პროფილს, ბიბლიოთეკის მუშაობის შინაარსსა და ხასიათს. გარდა ამისა, კარტოთეკის სრულყოფილი ორგანიზაცია აადვილებს ბიბლიოთეკარის საწარმოო შრომას და იძლევა სამუშაო დროის გარკვეულ ეკონომიას, ბიბლიოთეკარს აღარ სჭირდება მოთხოვნილი მასალა ეძებოს გაზეთის ან ჟურნალის სხვადასხვა ნომრებში ან კომპლექტებში; იგი პირდაპირ იმ კომპლექტს ან იმ ნომერს მიმართავს, რომელშიც მოთხოვნილი მასალაა მოთავსებული.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რაგინდ კარგადაც უნდა იყოს კარტოთეკა შედგენილი, იგი სრულყოფილად ვერ შეა-

სრულებს თავის დანიშნულებას, თუ მაღალ დონეზე არ გვექნა დაყენებული კარტოთეკით სარგებლობის პროპაგანდა მკითხველებში. საჭიროა აქტიურად ვეწეოდეთ მკითხველებში კარტოთეკის მნიშვნელობის, მისი არსის, პრინციპებისა და სტრუქტურის პროპაგანდას და, რაც მთავარია, დაუღალავად ვიბრძოდეთ იმისათვის, რომ თვით მკითხველები მივიჩვიოთ კარტოთეკით დამოუკიდებელ სარგებლობას, თვით მკითხველი დავისწროთ მის მიერ მოთხოვნილი მასალის შერჩევის დროს, გზადაგზა გავაცნოთ კარტოთეკის სტრუქტურა და მასალების სისტემატიზაცია, ვაჩვენოთ და შევასწავლოთ მასალის დამოუკიდებლად შერჩევის ხერხები.

მკითხველთა მიერ ჟურნალ-გაზეთების სტატიების კარტოთეკის დამოუკიდებლად სარგებლობისა და გამოყენების კარგ გამოცდილებას ვხვდებით თელავის სარაიონო ბიბლიოთეკის მუშაობის პრაქტიკაში. გასული წლის მარტში, როდესაც აგრონომმა ლობჟანიძემ ბიბლიოთეკის მუშაკებს მიმართა თხოვნით, რომ მას ესაჭიროებოდა მასალები მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების შესახებ, ბიბლიოთეკამ მას 'მეურჩია თემის შესატყვისი წიგნები, შერჩეული წიგნების ფორმულარში ჩაწერის შემდეგ ბიბლიოთეკარმა მ. კიკნაძემ ლობჟანიძეს აცნობა, რომ სოფლის მეურნეობის საკითხებზე და, კერძოდ, მარცვლეულ კულტურებზე ბიბლიოთეკას შედგენილი აქვს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტისა", „კომუნისტის", ჟურნალ „საქართველოს კომუნისტისა" და „საქართველოს კოლმეურნის" კომპლექტებში მოთავსებული მნიშვნელოვანი სტატიების კარტოთეკა და ურჩია, რომ მისი თანდასწრებით გადაეთვალიერებინა აღნიშნული კარტოთეკა.

ლობჟანიძემ კარტოთეკის მოკლედ გაცნობის შემდეგ თვითონ დაიწყო მისთვის საინტერესო მასალების შერჩევა და ბიბლიოთეკიდან კმაყოფილი გავიდა. თუ როგორ დაეხმარა მას ბიბლიოთეკიდან მიღებული მასალები პრაქტიკულ საქმიანობაში, ამაზე მეტყველებს ამხ. ლობჟანიძის მადლობით აღსავსე წერილი, რომელიც ბიბლიოთეკამ ორი თვის შემდეგ მიიღო. წერილში შემდეგს ვკითხულობთ:

„ჩემთვის საინტერესო თემაზე — „მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების საშუალებების შესახებ“ წიგნებისა და ჟურნალ გაზეთების მასალების შერჩევით შე თქვენ იმდენი საინტერესო ლიტერატურა მომაძებნიეთ, რომ არა თუ შესაძლებლობა მომეცით, დრო არ დამეკარგა თემის საჭირო ლიტერატურის მოძებნისათვის, არამედ თემაც დროზე დავამუშავე და ამავე დროს უხვი მოსავლის ოსტატთა იმდენი გამოცდილება შევიძინე, რომ ჩვენს კოლმეურნეობაში მისი დანერგვით ხორბლის მოსავლიანობის გადიდების საქმეში დიდ წარმატებებს მივაღწევ. განსაკუთრებით სასარგებლო მასალა დავაგროვე მალცევის პროგრესული მეთოდით ნიადაგის დამუშავების ხერხების შესახებ. გადავწყვიტე ღრმად შევისწავლო ეს მეთოდი და იგი პირველად № 1 მემინდვრეობის ბრიგადის საცდელ ნაკვეთებზე განვახორციელო. რაკი ამ საქმეს ხელი მოვკიდე კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად, თქვენი დახმარება ლიტერატურის შერჩევითა და მოწოდებით კიდევ უფრო დამჭირდება.

გთხოვთ აღნიშნული მეთოდის შესახებ არსებულ მასალებზე შემიდგინოთ ლიტერატურის სია და სასწრაფოდ მომაწოდოთ. დღემდე გაწეული დახმარებისათვის უღრმეს მადლობას მოგახსენებთ. იმედი მაქვს შემდეგშიაც გულწრფელად დამეხმარებით და ჩემს მიზანს თქვენთან ერთად მივაღწევ“..

ითვალისწინებს რა ბიბლიოგრაფიული კარტოთეკების ესეოდენ დიდ მნიშვნელობას, რესპუბლიკის სარაიონო ბიბლიოთეკების მეტი ნაწილი აქტუალურ თემებსა და საკითხებზე სისტემატურად ადგენს კარტოთეკებს, მაგრამ ზოგიერთი სარაიონო ბიბლიოთეკის კარტოთეკების ანალიზის საფუძველზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარტოთეკების მომეტებული მრავალსახეობა სარაიონო და, საერთოდ, მასობრივ ბიბლიოთეკებში ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას, თავდაპირველად ბევრი სარაიონო ბიბლიოთეკა ენერგიულად იწყებს მრავალი სახის კარტოთეკების წარმოებას, დიდ დროს ხარჯავს ამ საქმეზე, მაგრამ მრავალი სახის კარტოთეკის ბოლომდე შედგენა ბიბლიოთეკის მუშაკთა ძალებს აღემატება და დაწყებული მუშაობა დაუბოლოებელი რჩება, გაწეული

შრომა უნაყოფოდ იკარგება, ჩვენი აზრით, სარაიონო ბიბ-
ლიოთეკაში უნდა არსებობდეს შემდეგი ძირითადი ბიბლიოგ-
რაფიული კარტოთეკები:

1) თემატური სარეკომენდაციო კარტოთეკა (სავალდებუ-
ლო წესით).

2) საერთო ანუ ძირითადი ჟურნალ-გაზეთების სტატიების
კარტოთეკა.

3) მხარეთმცოდნეობის მასალების კარტოთეკა.

4) რეცენზიების კარტოთეკა.

თემატური სარეკომენდაციო კარტოთეკების წარმოება
სარაიონო ბიბლიოთეკის აუცილებელ მოვალეობას წარმოად-
გენს, მას სარაიონო ბიბლიოთეკებისათვის სავალდებულო
კარტოთეკას უწოდებენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რესპუბ-
ლიკის ბევრი სარაიონო და საქალაქო ბიბლიოთეკის მუშაობის
პრაქტიკაში მტკიცედაა დამკვიდრებული აგრეთვე ჟურნალ-
გაზეთების სტატიების კარტოთეკა, რომელიც უთუოდ დიდ
როლს ასრულებს საბჭოთა მკითხველის გაზრდილ მოთხოვ-
ნილებათა დაკმაყოფილების საქმეში და ისიც თითქმის სა-
ვალდებულო კარტოთეკის სახედაა მიჩნეული ჩვენი ბიბლიო-
თეკების მუშაობაში. ამ სახის კარტოთეკის წარმოებაც ყველა
სარაიონო ბიბლიოთეკის მოვალეობაა.

უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და საშუალო
სკოლების სტუდენტ-მოსწავლეთათვის, რომელთა რიცხვი
მასობრივი ბიბლიოთეკების მკითხველთა შემადგენლობაში
არცთუ ისე მცირეა, სასურველია სარაიონო ბიბლიოთეკაში
არსებობდეს მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების
საკითხებზე რეცენზიების კარტოთეკა. ასეთი კარტოთეკის
მოცულობა ჩვეულებრივად დიდი არ არის და მას, გარდა
სტუდენტ-მოსწავლეებისა, აქტიურად იყენებენ აგრეთვე რაიო-
ნის აგიტატორები, პროპაგანდისტები, მასწავლებლები და
სხვა კატეგორიის მკითხველები.

საქვეყნოდაა ცნობილი საქართველოს დიდი ისტორიული
წარსული, რესპუბლიკის მეტწილ რაიონებს ათეული საუკუ-
ნეებისა და მეტი ხნის მდიდარი ისტორია აქვს, ჩვენი ქვე-
ყნის ფარგლებს გარეთ კარგად არის ცნობილი ქართული
მატერიალური კულტურისა და ხელოვნების უკვდავი ძეგლების,

კურორტების, საზოგადო მოღვაწეთა სახელები. ყველა ამ საკითხზე აუარებელი წიგნი, ბროშურა, სტატია, იწერებოდა და იწერება როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ამ მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის შესწავლის საქმეში. საჭიროა ყველა სარაიონო ბიბლიოთეკა სხვა დარგის ლიტერატურის პროპაგანდასთან ერთად დაუღალავად ეწეოდეს ამ დარგის ლიტერატურისა და მასალების პროპაგანდას. ამის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა მხარეთმცოდნეობის მასალების კარტოთეკა, რომელიც სარაიონო ბიბლიოთეკების მუშაობის პრაქტიკაში ცნობილია სახელწოდებით—„ჩვენი მხარე", „ჩვენი რაიონი". სასურველია სარაიონო ბიბლიოთეკებში აღნიშნული ხასიათის კარტოთეკის არსებობაც.

გ) ბიბლიოგრაფიული კარტოთეკის შედგენის საერთო საკითხები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის პრაქტიკაში სხვადასხვა სახის ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები არსებობს და მათი შედგენის პრინციპები ერთმანეთისაგან განსხვავდება. მაგრამ ბიბლიოთეკის იმ მუშაკებს, რომლებსაც კარტოთეკების შედგენაზე პრაქტიკულად უმუშავიათ, არ შეიძლებოდა, რომ კარტოთეკების შედგენის დროს, მიუხედავად მათი სხვადასხვა სახეობისა, არ შეემჩნიათ კარტოთეკების აგების ერთიანი (საერთო) პრინციპები, რადგან, როგორც ამას მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რა სახის კარტოთეკაც უნდა იყოს, მისი შედგენის ძირითადი პრინციპი აუცილებლად კარტოთეკის შინაარსში, მის სტრუქტურაში ერთიანდება; ყველა სახის კარტოთეკას მიზანიცა და იდეაც საერთო აქვს—გასწიონ აქტუალური და მაღალ-იდეური ლიტერატურის პროპაგანდა, დაეხმარონ ბიბლიოთეკარს მკითხველის კითხვის სწორ ხელმძღვანელობაში, აამაღლონ მკითხველის საწარმოო კვალიფიკაცია და იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონე.

კარტოთეკების შედგენის დროს საჭიროა:

1) კარტოთეკის სახისა და თემის განსაზღვრა.

2) კარტოთეკის მოცულობის განსაზღვრა და ბიბლიოთეკის შესაძლებლობის გათვალისწინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) მკითხველთა შემადგენლობის, მათი ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინება.

4) ბიბლიოთეკის სამოქმედო ობიექტის, საწარმოო პროფილის განსაზღვრა და შესატანი მასალის ხასიათის დადგენა.

5) კარტოთეკის მიზნისა და დანიშნულების ცოდნა.

6) ძირითადი რუბრიკებისა და განყოფილებების დაზუსტება-დადგენა.

7) კარტოთეკის წყაროები (იმ ჟურნალ-გაზეთებისა შერჩევა, რომელთა მიხედვით იწარმოებს კარტოთეკის შედგენა).

8) კარტოთეკის მონტაჟი და საბოლოო გაფორმება.

ეს საკითხები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და წარმოადგენენ ყველა სახის კარტოთეკისათვის დამახასიათებელს, განაპირობებენ კარტოთეკაში შესატანი მასალის შერჩევის კრიტერიუმს და ძირითადად განსაზღვრავენ მისი სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობას.

კარტოთეკის შედგენის დროს საჭიროა, მკითხველთა ინტერესების, მოთხოვნილებების, საწარმოო საქმიანობისა და სამოქმედო რაიონის პროფილის გათვალისწინებასთან ერთად მხედველობაში გვქონდეს ბიბლიოთეკის შესაძლებლობა და ამის საფუძველზე ზუსტად განვსაზღვროთ, კარტოთეკის წარმოებისათვის რომელი ჟურნალ-გაზეთები უნდა იქნეს გამოყენებული ძირითად წყაროდ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კარტოთეკის შედგენის წყაროდ მრავალი საველოდების ჟურნალ-გაზეთებისა და ერთი და იმავე შინაარსის მქონე მრავალი წიგნის აღება არ იძლევა სასურველ შედეგს, კარტოთეკა, გარდა იმისა, რომ ხშირად დაუმთავრებელი რჩება, ამავე დროს ივსება ერთი და იმავე, ხოლო ხშირად უვარგისი მასალებით, რაც აძნელებს მის გამოყენებას. რეკომენდებულია ჟურნალ-გაზეთების შედგენის წყაროდ შევარჩიოთ ცოტა, მაგრამ უფრო ავტორიტეტული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები მათი შინაარსობრივი ნათესაობის ნიშნის მიხედვით. მაგალითად, პოლიტიკურ თემასთან დაკავშირებით კარტოთეკის შედგენის დროს საკმარისია ჟურნალები: „კომუნისტი“, „საქართველოს კომუნისტი“, „აგიტატორის ბლოკნო-

ტი“, „კომუნისტური აღზრდისათვის“: გაზეთები: „პრავდა“, „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“ და რაიონული გაზეთი. სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური თემებისათვის—ჟურნალები: „კომუნისტი“, „საქართველოს კომუნისტი“, „საქართველოს კოლმეურნე“, „მეცნიერება და ტექნიკა“, „აგიტატორის ბლოკნოტი“, გაზეთები: „პრავდა“, „სელსკოე ხოზიაისტვო“, „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და რაიონული გაზეთი.

ასევე შესაფერი მასალების ამოწერა შეიძლება ისტორიულ, მხატვრულ და სხვა თემებზე მათი შესატყვისი პერიოდული გამოცემებიდან. კარტოთეკაში პირველ რიგში ჩაირთვება წიგნები, შემდეგ ქართული ჟურნალ-გაზეთების მასალები, შემდეგ რუსული მასალები.

თემის შესატყვისი მასალების შინაარსობრივი და პრინციპული შერჩევა, მკითხველთა შემადგენლობის ინტერესთა და რაიონის საწარმოო პროფილის გათვალისწინება ძირითადად განსაზღვრავს კარტოთეკის აქტიურად გამოყენებას. ამიტომ, ბუნებრივია, კარტოთეკაში შესატანი მასალების შერჩევას სიფრთხილით უნდა მოვეკიდეთ, შერჩეული მასალების შესახებ კონსულტაციები მივიღოთ თემის ამ საკითხის სპეციალისტებისაგან და ამის შემდეგ დავიწყოთ კარტოთეკის შედგენა, თავიდან ავიცილოთ მეორეხარისხოვანი და აქტუალური მნიშვნელობის არმქონე მასალებით კარტოთეკის დატვირთვა.

თემატურ კარტოთეკაში შესატანი მასალების სისტემატიზაციის პრინციპი იგივეა, რაც სისტემატური კატალოგის შედგენისა წიგნად ფონდზე, ხოლო სტატიების აღწერილობა დგება ანალიტიკური აღწერილობის ერთიანი წესების შესაბამისად. (იხ. ბეჭდვითი წარმოების აღწერილობის ერთიანი წესები. თბ., 1954. § 9. გვ. 156—161).

ყველა სახის კარტოთეკა უნდა მოიცავდეს: მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებს, წერილებს, თემის საკითხებთან დაკავშირებულ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, პარტიისა და მთავრობის გამოჩენილ მოღვაწეთა მოხსენებებს, სიტყვებსა და გამოსვლებს, ლექციებსა და კონსულტაციებს პარტიული განათლების ქსელში

და აგრო-ზოოტექნიკური კურსების მსმენელთა დასახმარებლად, მასალებს სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის, მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების, სახალხო მეურნეობის მოწინავე ადამიანთა გამოცდილების, კომუნისტური აღზრდის შესახებ, მეცნიერულ ათეისტურ, ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებს, რეცენზიებსა და სხვა მასალებს.

ამ პრინციპებით შერჩეული მასალები სისტემატიზებული უნდა იქნეს წინასწარ დადგენილ განყოფილებებსა და ქვეგანყოფებში. კატალოგისა და კარტოთეკის მჭიდრო კავშირი შესაძლებლობას იძლევა მასალები კარტოთეკაში, სახელდობრ, ჟურნალ-გაზეთების სტატიების კარტოთეკაში, განვალაგოთ საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის სქემის მიხედვით, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, კარტოთეკა წარმოადგენა სისტემატური კატალოგის შევსება-დამატებას და ამავე დროს მის გაგრძელებასაც. კარტოთეკაში ბარათების განლაგების ეს მეთოდი (კლასიფიკაციის სქემის მიხედვით) გამართლებული და მიზანშეწონილია. იმ შემთხვევაში, თუ ბიბლიოთეკა ღებულობს ჟურნალების სტატიების ნაბეჭდ ბარათებს, რომლებსაც საკავშირო წიგნის პალატა სცემს, ბიბლიოთეკარი თითოეულ ნაბეჭდ ბარათს უსვამს შესაბამის ინდექსს საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის სქემის მიხედვით და მოათავსებს კარტოთეკისათვის მიღებული განლაგების შესაბამის განყოფილებაში ქართული მასალების შემდეგ. მაგალითად, თუ კარტოთეკა მიძღვნილია პარტიისა და მთავრობის დადგენილებებისადმი, მაშინ შერჩეული მასალები განლაგდება დადგენილებათა თემების მიხედვით დადგენილ განყოფილებებში და კარტოთეკა ასეთ სახეს მიიღებს:

სათაური — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დადგენილებები“.

1. პარტიისა და მთავრობის დადგენილებები ტექნიკური პროგრესის შესახებ.

2. პარტიისა და მთავრობის დადგენილებები სოფლის მეურნეობის შესახებ.

3. პარტიისა და მთავრობის დადგენილებები იდეოლოგიურ საკითხებზე.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის ბრძანებულებები.

თითოეული განყოფილება შესაძლებელია დაიყოს ქვეგანყოფილებებად. ეს დამოკიდებულია შერჩეულ მასალაზე. ასე, მაგალითად, განყოფილება „პარტიისა და მთავრობის დადგენილებები ტექნიკური პროგრესის შესახებ", შესაძლებელია შემდეგ ქვეგანყოფილებებად დავყოთ:

1. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ტექნიკის შესახებ.

2. სკკპ—ტექნიკის პროგრესის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

3. მძიმე მრეწველობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების საფუძველთა საფუძველია.

4. მძიმე მრეწველობის როლი სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის საქმეში.

5. საბჭოთა ხალხი ტექნიკის პროგრესისათვის ბრძოლაში.

აღნიშნული ქვეგანყოფილებები შესაძლებელია კიდევ დაიყოს ქვეგანყოფილებებად და ქვერუბრიკებად, მაგრამ ზემოთქმულიდანაც ცხადია, თუ როგორი სისტემატიზაციითა და პრინციპით შეიძლება იქნეს აგებული ამ თემის კარტოთეკა ძირითადად.

ზოგ შემთხვევაში ბიბლიოთეკას აქვს ამა თუ იმ აქტუალურ თემაზე სტამბურად გამოცემული მაჩვენებელი ან სია, მაგრამ მისი გამოსვლიდან იმდენი დროა გასული, რომ აუარებელი ახალი მასალაა დაგროვილი, მაჩვენებელი შინაარსით მოძველებული არ არის, მაგრამ იგი ახალ მასალებს არ მოიცავს, ამ მასალებზე კი მოთხოვნილება დიდია. ვთქვათ ბიბლიოთეკამ გადაწყვიტა ახალი მასალების შესახებ კარტოთეკის შედგენა, ასეთ შემთხვევაში რეკომენდებულია აუცილებლად მხედველობაში იქნეს მიღებული სტამბურად გამოცემული მაჩვენებლის სტრუქტურა და ამის მიხედვით განლაგდეს მაჩვენებლის დამატებითი მასალები კარტოთეკაში. ასეთი კარტოთეკა, მაჩვენებლის ან ცნობარის გაგრძელებას, დამატებას წარმოადგენს, რომელიც ჰაჩკენებლის თემის ახალ მასალებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოიცავს. ყველა სარაიონო ბიბლიოთეკის მოვალეობა ექნა-
მოოს ასეთი ეგრეთ წოდებული „მოკლე კარტოთეკების“
შედგენა.

ბარათები ამგვარ კარტოთეკაში ყოველთვის განლაგებუ-
ლი უნდა იყოს ძირითადი პრინციპის მიხედვით: ჯერ მარქსიზმ-
ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები, შემდეგ პარტიისა და
მთავრობის დადგენილებები, დირექტივები და სახელმძღვა-
ნელო მასალები, შემდეგ — პარტიისა და მთავრობის გამოჩენილ
მოღვაწეთა მოხსენებები, სიტყვები (მათი გვარების ანბანის
მიხედვით), შემდეგ — დანარჩენი თემის შესატყვისი მასალები.
შესაბამის განყოფილებებში ბარათები ლაგდება სტატიების
ავტორთა გვარების ან სტატიების სათაურის პირველი სი-
ტყვის ანბანის მიხედვით. როგორც წესი, პირველ რიგში,
ე. ი. წინა პლანზე, თავსდება მიმდინარე წელს გამოსული
წიგნები, სტატიები და სხვა მასალები, შემდეგ კი წინა წლებ-
ში გამოცემული.

ამგვარად, ვღებულობთ კარტოთეკის სისტემატურ-ანბანურ
და ქრონოლოგიურ განლაგებას. კარტოთეკის გაფორმებისა-
თვის გამოიყენება ჩვეულებრივი მთლიანი და ცალმხრივი გამ-
ყოფები იმავე წესით, როგორც მათ ვიყენებთ კატალოგებში.

თემატური სარეკომენდაციო კარტოთეკა

ბიბლიოთეკაში არსებული მაღალიდეური ლიტერატურის
მკითხველებამდე მიტანის, მათი მრავალფეროვანი მოთხოვ-
ნილებების დაკმაყოფილების ერთ ერთ საშუალებას თემატუ-
რი სარეკომენდაციო კარტოთეკის გეგმაზომიერი ორგანიზა-
ცია წარმოადგენს. თემატური სარეკომენდაციო კარტოთეკა
წიგნის გამოფენასთან, საბიბლიოთეკო პლაკატსა და თვალსა-
ჩინოების სხვა საშუალებებთან ერთად მოწოდებულია გასწიოს
მშრომელთა შორის პარტიისა და მთავრობის დადგენილებების
ჩვენი ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკური, კულტურული მშენებ-
ლობის, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების
და სხვა სახის რეკომენდებული ლიტერატურის პროპაგანდა,
ყოველდღიურად გააცნოს ბიბლიოთეკის მკითხველთა ფართო
წრეს საბჭოთა ხალხის წინაშე ცხოვრების მიერ დაყენებული
საბრძოლო ამოცანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკა, როგორც წესი, თავის მხრივ წარმოადგენს ბარათებზე გაფორმებულ სარეკომენდაციო მაჩვენებელს; მეტწილ შემთხვევაში ასეთი კარტოთეკისათვის ლიტერატურის შერჩევა მხოლოდ და მხოლოდ ერთი თემის ან ერთი საკითხის შესახებ არსებული აქტუალური ლიტერატურის კომპლექსური თავმოყრის ჩარჩოებს არ სცილდება და მას, როგორც მკითხველთა გარკვეული ჯგუფისათვის გათვალისწინებულ ყველა სარეკომენდაციო მაჩვენებელს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვითგანვითარებით და კითხვის გეგმებით მომუშავე მკითხველთა დახმარების საქმეში. თემატური სარეკომენდაციო კარტოთეკა მისი პროპაგანდისტული ხასიათის გამო, გარდა მკითხველთა გარკვეული ჯგუფებისა, ბიბლიოთეკის დანარჩენი მკითხველებისთვისაც სასარგებლოა, რადგან, როგორც სიტყვა „რეკომენდებული" გვიჩვენებს, მასში თავს იყრის მხოლოდ და მხოლოდ მაღალიდეური ლიტერატურა, რომლის რეკომენდება ბიბლიოთეკარს ყველა კატეგორიის მკითხველთათვის შეუძლია.

ზოგ შემთხვევაში თემატური კარტოთეკა კარგავს ამ მეტად მნიშვნელოვან თვისებას და მხოლოდ საინფორმაციო საშუალებად იქცევა. ეს მაშინ ხდება, როცა რომელიმე ადგილობრივი ორგანიზაციების მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ბიბლიოთეკა ადგენს კარტოთეკას ინფორმაციისათვის და აწვდის მომთხოვნ ორგანიზაციას ასეთი მიზნით შედგენილი კარტოთეკა მეტწილ შემთხვევაში სამსახურებრივი დადანიშნულების მატარებელია და მკითხველთა გარკვეულ ჯგუფისათვის ან ფართო წრეებისათვის არ არის განკუთვნილი. რამდენადაც თემატურ კარტოთეკას მკითხველთა გარკვეული ჯგუფისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და იგი ხშირად გამოიყენება მკითხველთათვის კატალოგსა და საერთო კარტოთეკასთან კავშირის გარეშე, ამდენად თემატურ კარტოთეკაში ჩაირთვება არა მარტო პერიოდული გამოცემების მასალები, არამედ თემის შესატყვისი წიგნებიც, კრებულებიც, გეოგრაფიული ატლასებიც და სხვ. ამიტომ ამ სახის კარტოთეკაში შესატანი ლიტერატურის შერჩევა ისევე

საპასუხისმგებლო საქმეა, როგორც სტამბურად გამოსაცემი სარეკომენდაციო მაჩვენებლებისათვის. აქედან გამომდინარე თემატური კარტოთეკის შედგენა ყოველთვის ღრმად მოფიქრებულ მუშაობას მოითხოვს. კატალოგებიდან, თემის შესატყვისი ცნობიერებიდან მასალების შერჩევის შემდეგ საჭიროა ბარათების ერთხელ კიდევ შეჯერება წყაროებთან. კრიტიკული წყაროებისა და რეცენზიების გულმოდგინედ გაცნობის შემდეგ ბიბლიოთეკარი, როცა დარწმუნდება, რომ შერჩეული მასალა მართლაც აქტუალური და სარეკომენდაციო ხასიათისაა, იწყებს მათ დაჯგუფებას წინასწარ დადგენილი რუბრიკების მიხედვით.

მაგალითად, თუ ბიბლიოთეკა ადგენს თემატურ კარტოთეკას თემაზე—„სახალხო დემოკრატიული ქვეყნები სოციალიზმის გზაზე", მთელი საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის გამოყენების შემდეგ ბიბლიოთეკარი აჯერებს ბარათებს თვით წყაროებსა და ლიტერატურასთან, შემდეგ იწყებს თითოეული დემოკრატიული ქვეყნის შესახებ არსებული მასალების ცალკე გამოყოფას და მის გაერთიანებას ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული და გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით. ასე რომ, მკითხველი ამა თუ იმ ქვეყნის ცხოვრებას ეცნობა ერთად თავმოყრილი მასალების საშუალებით მთლიანად, მაშინ როცა ჟურნალ-გაზეთების სტატიების კარტოთეკაში იგივე ცნობები და მასალები გაბნეულია საკითხების შესატყვის სხვადასხვა განყოფილებებში.

კარტოთეკაში მასალები განლაგდება ქვეყნების სახელწოდებათა ანბანის მიხედვით. ზემოთ დასახელებული კარტოთეკის პირველი საერთო გამყოფი იქნება „ალბანეთი", შემდეგი გამყოფი „ბულგარეთი", შემდეგი—„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა", შემდეგი—„კორეა" და ა. შ. თითოეული ქვეყნის შესახებ არსებული მასალები შემდეგ განაწილდება ქვერუბრიკებში. მაგალითად, ალბანეთი: 1) ალბანეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობა, 2) ეკონომიკა, 3) მოსახლეობა, 4) კულტურა, 5) ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე, 6) ქვეყნის ადკინისტრაციულ-გეოგრაფიული დაყოფა და ა. შ. ასეთი დაყოფის შემდეგ, თუ საჭირო იქნება, შეგვიძლია კიდევ

ქვერუბრიკების გამოყოფა: ასე, მაგალითად: ეკონომიკა შეგვიძლია დავყოთ (თუ მასალა ბევრია და მკითხველთა მოთხოვნილება დიდია) ქვეყნის სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების მიხედვით. ამგვარად მივიღოთ კარტოთეკის სრული სახე.

თემატურ კარტოთეკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ანოტაციას. ანოტაცია, როგორც ცნობილია, ნიშნავს წიგნის მოკლე შინაარსის გადმოცემას, გახსნას. თემატურ კარტოთეკაში შესატანი ყველა წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების მასალების ანოტაციის შედგენა იოლი საქმე არ არის და მოითხოვს შერჩეული მასალის მთლიანად გულმოდგინედ წაკითხვას, მთელი შინაარსიდან რამდენიმე სტრიქონით წიგნის, სტატიის დედაარსის მოკლედ და გამართულად გადმოცემას. ამ მუშაობის ჩატარება სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმეა. სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენი რესპუბლიკის სარაიონო და საქალაქო ბიბლიოთეკები თემატური სარეკომენდაციო კარტოთეკების ანოტირებას გაურბიან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი სარაიონო და საქალაქო ბიბლიოთეკა ღებულობს რა ბეჭდურ ანოტირებულ ბარათებს რუსულ ენაზე, რთავს თემატურ კარტოთეკებში. და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევს. სასურველია ყველა სარაიონო ბიბლიოთეკა ღებულობდეს აღნიშნულ ბარათებს, თავისი ძალებით ახდენდეს მასალათა ანოტირებას და მათ იყენებდეს კარტოთეკებში.

მიმდინარე ეტაპზე თემატურ სარეკომენდაციო კარტოთეკას მნიშვნელოვანი ამოცანა ენიჭება პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების პროპაგანდის საქმეში. დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის მილიონობით კომუნისტი და უპარტიო ადამიანები ენერგიულად სწავლობენ პარტიის XX ყრილობის მასალებს, ბიბლიოგრაფიულმა კარტოთეკებმაც დახმარება უნდა აღმოუჩინონ ბიბლიოთეკის მკითხველებს საჭირო ლიტერატურისა და წყაროების გაცნობის საქმეში.

ითვალისწინებენ რა აღნიშნულ თემაზე სარეკომენდაციო კარტოთეკის დიდ მნიშვნელობას, რესპუბლიკის მოწინავე სარაიონო (გურჯაანის, ზესტაფონის, ოჩამჩირის, სიღნაღის,

სამტრედიის და სხვ.) ბიბლიოთეკები სხვა ღონისძიებათა გატარებასთან ერთად პარტიის XX ყრილობის მასალაზე ადგენენ ბიბლიოგრაფიულ კარტოთეკებს და ამით დახმარებას უწევენ მკითხველებსა და აგიტატორთა კოლექტივს. მაგალითად, ზესტაფონის სარაიონო ბიბლიოთეკამ პარტიის XX ყრილობის მასალებზე შეადგინა კარტოთეკა თემაზე: „პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები მასებს“. კარტოთეკა ძირითადად ხუთი განყოფილებისაგან შედგება:

პირველი საერთო გაიყოფზე სათაურის შემდეგ მოთავსებულია კარტოთეკის 1 განყოფილების გამყოფი:

„სკკპ XX ყრილობის ძირითადი დოკუმენტები და მასალები“. შემდეგ გახსნილია ქვეგანაყოფი წარწერით:

„სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებანი“. ქვე განყოფილების შემდეგ იხსნება კარტოთეკის მეორე განყოფილების ახალი გამყოფი შემდეგი რუბრიკით.

„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“. აღნიშნულ განყოფილებას მისდევს მესამე განყოფილება:

„სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობა“, რომელიც სამი ძირითადი ქვე განყოფილებისაგან შედგება:

1) მრეწველობის შემდგომი აღმავლობა.

2) სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა.

3) საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული დონის აღმავლობა.

კარტოთეკის მეოთხე განყოფილების გამყოფი იხსნება რუბრიკით:

„პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობა“. მეხუთე განყოფილება შეიცავს მასალებს: „საქართველოს სსრ მეექვსე ხუთწლედში“, რომელიც შემდეგი ქვე განყოფილებისაგან შედგება:

1. ზესტაფონის რაიონი მეექვსე ხუთწლედში:

ა) მრეწველობა.

ბ) სოფლის მეურნეობა.

გ) ზესტაფონის რაიონის მოწინავე ადამიანები სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში

ბიბლიოთეკის მუშაკთა სისახელოდ უნდა ითქვას, რომ კარტოთეკაში ლიტერატურა შერჩეული და განლაგებული პარტიული განათლების ქსელის მეცადინეობის გეგმასთან შეხამებულად. ამ პრინციპის გათვალისწინებამ და მასალების გეგმაზომიერმა შერჩევამ მოუპოვა კარტოთეკას დიდი პოპულარობა მკითხველებსა და განაკუთრებით პარტიული განათლების ქსელში ჩაბმულ მსმენელთა შორის. ამ კარტოთეკით ყოველდღიურად საშუალოდ 10—15 მკითხველი სარგებლობს. როგორც აგიტატორი ს. ტალახაძე აღნიშნავს, „კარტოთეკა აგიტატორთა და პროპაგანდისტთა ყოველდღიურ სახელმძღვანელო საშუალებადაა გადაქცეული“.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება თემატურ სარეკომენდაციო კარტოთეკას სამეურნეო-პოლიტიკურ კომპანიებთან დაკავშირებით. გამოცდილებიდან ვიცით, რომ რესპუბლიკის თითქმის ყველა სარაიონო ბიბლიოთეკა ადგენს კარტოთეკას საარჩევნო კომპანიებსა და ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით. საარჩევნო კომპანიებისადმი მიძღვნილი თემატური კარტოთეკები სარაიონო ბიბლიოთეკებში მეტწილად ასეთი სათაურით გვხვდება: „საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობა“, ან „საარჩევნო სისტემა სსრ კავშირში“, რომელიც ძირითადში შემდეგი განყოფილებებისაგან შედგება:

1. სკკპ—ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

2. საბჭოთა ქვეყანა ყველაზე დემოკრატიული და ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა მსოფლიოში.

3. მუშათა და გლეხთა კავშირი ჩვენი ქვეყნის ძლიერების საფუძველია.

4. სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების საფუძველთა საფუძველია.

5. ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უმაღლესი კანონია.

6. საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიული სისტემაა მსოფლიოში.

7. სსრ კავშირის კონსტიტუცია და საბჭოთა მოქალაქის უფლება-მოვალეობანი.

8. ბურჟუაზიული სახელმწიფო როგორც მშრომელთა დათურგვნის იარაღი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო-პოლიტიკურ კამპანიებისა და ღირსშესანიშნავ თარიღებისადმი მიძღვნილი თემატური კარტოთეკები მეტწილ შემთხვევაში დროებითს წარმოადგენენ და თარიღის ან რომელიმე სამეურნეო კომპანიის ჩატარების შემდეგ თავისთავად კარგავენ ღირებულებას.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი თემატური სარეკომენდაციო კარტოთეკა მაშინ დგება, როცა მკითხველთა ყურადღების გამახვილება აუცილებლად საჭიროა ამა თუ იმ აქტიური თემის პროპაგანდისადმი, მაშინ როდესაც ესა თუ ის აქტუალური თემა სრულ ასახვას ვერ პოულობს კატალოგებსა და ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებში.

ყოველთვის უნდა ვცდილობდეთ, რომ ჩვენ მიერ შედგენილ თემატურ კარტოთეკას განსაზღვრული ადგილი ეჭიროს საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში. აბონემენტზე, სამკითხველო დარბაზში, მოძრავებსა თუ გაცემის პუნქტებში უნდა ვატარებდეთ საუბრებს თემატური კარტოთეკის მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ, ადგილობრივი პრესისა და რადიოს საშუალებით ფართოდ უნდა ვაცნობდეთ რაიონის მშრომელებს, საწარმო-დაწესებულებებს ბიბლიოთეკის მიერ შედგენილი სარეკომენდაციო კარტოთეკის თემას, დანიშნულებას, მიზანს. საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ეს კარგი საშუალება ბიბლიოთეკის მკითხველთა სამსახურში უნდა ჩავაყენოთ.

რეცენზიებისა და ინდივიდუალურ პირთა კარტოტეკა

გარდა თემატური სარეკომენდაციო კარტოთეკისა, სასურველია საარაიონო ბიბლიოთეკაში არსებობდეს რ ე ც ე ნ ზ ი ე ბ ი ს ა დ ა ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ურ პ ი რ თ ა კ ა რ ტ ო თ ე კ ა. პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში მკითხველები (უმეტესად მოსწავლე ახალგაზრდობა) მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურის გასაცნობად ამა თუ იმ მწერლის, საზოგადო მოღვაწის ცხოვრებისა დ შემოქმედების შესწავლისათვის ბიბლიოთეკარისაგან მოითხოვენ რეცენზიებს, კრიტიკულ სტატიებსა და ლი-

ტერატურას. ასეთი ხასიათის ცნობების გაცემისა და მკითხველთა ბიბლიოგრაფიული მომსახურნობის საქმეში დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ეგრეთ წოდებულ რეცენზიების კარტოთეკას.

ასეთი კარტოთეკის შედგენა მასალების შემდეგი სისტემატიზაციით მიმდინარეობს. მაგალითად, მხატვრული ლიტერატურის შესახებ შედგენილი რეცენზიების კარტოთეკის პირველ განყოფილებაში ლიტერატურათმცოდნეობის საერთო ხასიათის მასალების შემდეგ თავსდება ცალკეული მწერლებისა და მოღვაწეების შემოქმედებისა და მათი ნაწარმოებების შესახებ წიგნებში, ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული რეცენზიები და კრიტიკული წერილები. მასალების სისტემატიზაცია კარტოთეკამი მწერლის ან მოღვაწის გვარის ანბანის მიხედვით განლაგება, ხოლო ცალკეული მწერლის შემოქმედების შესახებ არსებული მასალები კარტოთეკაში შემდეგნაირად გაიწყობა: დასაწყისში მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ არსებული საერთო ან ზოგადი ხასიათის სტატიები და კრიტიკული შენიშვნები, შემდეგ მწერლის ცალკეული ნაწარმოებების შესახებ არსებული რეცენზიები ანბანური რიგით ბარათებზე ხდება რეცენზირებული ნაწარმოების აღწერა ერთიანი წესების შესაბამისად. ასე, მაგალითად:

ქიაჩელი ლ.

გვადი ბიგვა. თბ., საბჭოთა მწერალი, 1950.

რეკ: ჟღენტი ბ.—რომანი საკოლმეურნეო ცხოვრებაზე. „ლიტერატურული გაზეთი". 1950, № 39, 27/11.

ქართული ხალხური ზღაპრები. ტ. 3. მიხ. ჩიქოვანის რედ. თბ., საქ. მეცნ. აკადემია, 1952.

რეც: ძიძიგური.—ხალხური სიტყვების ახალი მასალები. „მნათობი", 1952, № 12, გვ. 158—161.

სარაიონო ბიბლიოთეკის მიერ შედგენილ რეცენზიებისა და ინდივიდუალურ პირთა კარტოთეკაში სასურველია შემდეგი განყოფილებები:

1. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები.
2. პარტიისა და მთავრობის გამოჩენილი მოღვაწეები.
3. მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები.

მასალები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შესახებ განლაგდება დადგენილი წესით, კლასიკოსთა თანმიმდევრობის დაცვით, შემდეგ გაიწყობა მასალები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების შესახებ ანბანური რიგით, ასევე განლაგდება მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეთა შესახებ არსებული მასალები. სასურველია კარტოთეკის ამ განყოფილებაში მასალათა განლაგება მოღვაწეთა შესახებ მოხდეს ცალკეული დარგების მიხედვით, ე. ი. ლიტერატურის მოღვაწენი მოთავსდნენ ერთად მათი გვარების ანბანური რიგის დაცვით, ასევე განლაგდეს ხელოვნების სხვა დარგების მოღვაწეთა შესახებ არსებული მასალები.

კარტოთეკა „ჩვენი მხარე", „ჩვენი რაიონი"

მშრომელთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სამხარეთმცოდნეო მუშაობის ფართოდ გაშლას. სოციალისტური სამშობლოს სიყვარული, საბჭოთა პატრიოტიზმი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი ძირითად ელემენტს წარმოადგენს.

ყველა საბჭოთა მშრომელი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ისტორიული წარსულის შესწავლამდე უპირველეს ყოვლისა იწყებს თავისი მხარის, თავის რაიონის, იმ ადგილმდებარეობის გაცნობას, სადაც იგი დაბადებულა, სადაც უსწავლია და გაზრდილა. ყველა ჩვენგანს აინტერესებს, რას წარმოადგენდა ჩვენი რაიონი ოქტომბრის რევოლუციამდე, რა ცვლილებები შეიტანა დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ მის ცხოვრებაში, როგორია მხარის, რაიონის მიღწევები სოციალისტურ ხუთწლედებში, რა წვლილი შეჰქონდა მას გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვებაში და რა წვლილი შეაქვს ამჟამად მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმეში.

მხარის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მისი კულტურული მშენებლობისა და განვითარების ამოცანების შესწავლა, მისი წარსულისა და აწმყოს ცოდნა, ჩვენი წინა-

პრების საქმიანობის, ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრის გაცნობა თითოეულ საბჭოთა მოქალაქეში იწვევს თავის მხარის, თავისი რაიონისადმი სიყვარულისა და სიამაყის გრძნობებს.

სამხარეთმცოდნეო მუშაობას სამეცნიერო საკვლევ დაწესებულებებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, სკოლებსა და მუზეუმებთან ერთად აწარმოებენ აგრეთვე მასობრივი (მათ შორის სარაიონო) ბიბლიოთეკები. ყველა სარაიონო ბიბლიოთეკის გადაუდებელი ამოცანაა სხვა დარგების ლიტერატურის მკითხველამდე მიწოდებასთან ერთად აწარმოოს სამხარეთმცოდნეო მასალების ფართო პროპაგანდა. ამ საქმეში რესპუბლიკის მოწინავე სარაიონო და საქალაქო ბიბლიოთეკები აქტიურად იყენებენ სამხარეთმცოდნეო მასალებზე შედგენილ ბიბლიოგრაფიულ კარტოთეკებს. აღნიშნული კარტოთეკა მეტწილ საქალაქო და სარაიონო ბიბლიოთეკებში გვხვდება სახელწოდებით „ჩვენი მხარე", „ჩვენი რაიონი",„ჩვენი რაიონი წარსულში და ახლა". იგი მოიცავს წიგნებს, ბროშურებს, ჟურნალებისა და გაზეთების მასალებს მაარის, რაიონის შესახებ. ბარათები, ისე როგორც სხვა კარტოთეკებში, განლაგებულია უკუქრონოლოგიური რიგით, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს უპირველეს ყოვლისა შეუდგეს ახალი მასალების გაცნობას და შემდეგ გადავიდეს შედარებით უფრო ძველ მასალების გაცნობაზე. ამგვარი კარტოთეკის ორგანიზაციის კარგი გამოცდილება აქვს გორის საქალაქო ბიბლიოთეკას.

ბიბლიოთეკის კოლექტივი, გარდა იმისა, რომ აწარმოებს მხარის შესახებ არსებული მასალების შეგროვებას, ამავე დროს მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს მკითხველების მიერ მხარის შესწავლისა და გაცნობის საქმეში. აქ სისტემატურად ეწყობა მკითხველთა ექსკურსიები ისტორიულ და ღირსშესანიშნავ ადგილებში, ტარდება ლექციები და საუბრები მხარის ისტორიული წარსულის შესახებ. გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკებთან მჭიდრო კავშირითა და სპეციალისტთა დახმარებით ბიბლიოთეკის მთლიანი წიგნადი ფონდიდან ცალკეა გამოყოფილი ლიტერატურა შიდა ქართ-

ლისა და გორის შესახებ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ მუშაკთა კონსულტაციითა და უშუალო დახმარებით ბიბლიოთეკას შედგენილი აქვს სრული კარტოთეკა სათაურით „შევისწავლოთ ჩვენი მხარე“, რომელიც შემდეგი დანაყოფებისა და რუბრიკებისაგან შედგება:

I. ოქტომბრის რევოლუციამდელი გორი და შიდა ქართლი.

1. შიდა ქართლის რაიონები და მათი ისტორია:

ა) ბორჯომის ხეობა;

ბ) ქარელი;

გ) კასპი.

2. ქალაქ გორის ისტორია.

3. ძველი გორის ეკონომიური სახე:

ა) ვაჭრობა;

ბ) ხელოსნობა;

გ) განათლება;

დ) მოსახლეობა.

4. ძველი გორის სოციალური სახე:

ა) სასწავლებლები;

ბ) ქართველ ხალხოსანთა გორის ჯგუფი;

გ) სხვადასხვა ერის წარმომადგენლები გორის შესახებ;

დ) გორის საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

II. ქალაქი გორი და გორის რაიონი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ:

1. ქალაქისა და რაიონის სოციალურ-პოლიტიკური სახე;

ა) მრეწველობა, საქალაქო მეურნეობა, სოფლის მეურნეობა.

2. ქალაქისა და რაიონის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

III. ქალაქისა და რაიონის კულტურული მშენებლობის საკითხები:

1. სამეცინერო-საკვლევი დაწესებულებები;

2. ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებები;

3. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

IV. ქალაქისა და რაიონის მოწინავე ადემიანები:

1. მრეწველობის მოწინავე ადამიანები და ნოვატორები;

2. სოფლის მეურნეობის უხვი მოსავლის ოსტატები.

V. ქალაქი გორი და გორის რაიონი მეექვსე ხუთწლედში

ასეთი კარტოთეკის შედგენა რაიონის, მხარის შესახებ ყველა სარაიონო ბიბლიოთეკას შეუძლია. ის სარაიონო ბიბლიოთეკები, რომელთა რაიონს დიდი და მდიდარი ისტორია აქვთ (მცხეთა, დუშეთი, თელავი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბახარაძე და სხვ.), სერიოზულად უნდა მოეკიდნონ ამ სახის კარტოთეკის შეადგენას, რითაც თავიანთ წვლილს შეიტანენ მხარის, რაიონის შესწავლის საქმეში.

სარაიონო ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში ერთგვარი სამსახურის გაწევა შეუძლია აგრეთვე თემატურ ალბომებს. სასურველია ბიბლიოთეკამ შეადგინოს ალბომები შემდეგ თემებზე: პარტიის XX ყრილობის მასალების შემსწავლელთა დასახმარებლად. პარტიული განათლების ქსელში ჩაბმულთა დასახმარებლად, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა როგორც მოწინავეთა გამოცდილების სკოლა, საბჭოთა ადამიანის მორალური სახე, ტექნიკური პროგრესისათვის სსრ კავშირში და სხვ.

მკითხველთა დაინტერესების საქმეში, გარდა ალბომის შინაარსობრივი ხასიათისა, დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ გაფორმებას. ალბომის გარეკანზე სასურველია მომსხო და ლამაზი ასოებით დაეწეროს თემა და იქვე მოთავსდეს თემის შესატყვისი ილუსტრაცია. ყოველ ამონაჭერ საალბომო მასალას მარჯვენა მხრიდან დაეწებება სუფთა ქაღალდი, რომლის დანიშნულებაა ამონაჭერი მასალა ალბომში ჩაიკრას ისე რომ ტექსტი ან ილუსტრაცია არ დაზიანდეს, ამონაჭერს თავისუფალ ადგილზე დაეწერება გაზეთის სახელწოდება, ნომერი და რიცხვი. ასეთი ალბომების შედგენის პრაქტიკის კარგი გამოცდილება აქვთ ზესტაფონის, საჩხერის, ახალციხის და სხვა სარაიონო ბიბლიოთეკებს. ალბომის შედგენა ადვილია და იგი ყველა მასობრივი ბიბლიოთეკების ღვიძლ საქმედ უნდა გადაიქცეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ფორმები და მეთოდები

მკითხველთა საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ბიბლიოთეკაში არსებულ საცნობარო აპარატურასთან ერთად ბიბლიოთეკარი აქტიურად უნდა იყენებდეს საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის პრაქტიკით გამართლებულ ისეთ ქმედით ფორმებსა და მეთოდებს, როგორიცაა: წერილობითი და ზეპირი ცნობების გაცემა, ახლად შემოსული წიგნების შესახებ ინფორმაცია, ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, კითხვა-პასუხის საღამოს ორგანიზაცია, სარეკომენდაციო სიების, კითხვის ინდივიდუალური გეგმების შედგენა, გამოფენების ორგანიზაცია და სხვ.

ა) ცნობების გაცემა

მკითხველთა, რაიონის საწარმო-დაწესებულებათა საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების დროს ბიბლიოთეკა ახორციელებს საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას—ბიბლიოგრაფიული ხასიათის ცნობების გაცემას მკითხველებზე. ურჩევს მკითხველს მისთვის საინტერესო თემებზე ლიტერატურას, უთითებს შესაბამის ბიბლიოგრაფიულ წყაროებს და ამით აკმაყოფილებს მკითხველის მოთხოვნას.

მუშაობის პრაქტიკაში გვხვდება მკითხველთა შეკითხვების მრავალსახეობანი. პასუხის ადვილად გასაცემი შეკითხვების გვერდით ხშირად ბიბლიოთეკარის წინაშე მკითხველები აყენებენ რთულ საკითხებს. იმისათვის, რომ შეკითხვებზე ზუსტი პასუხი გავცეთ, უპირველეს ყოვლისა საჭიროა კარგად გაგერ-

კვეთ შეკითხვის თემაში, შინაარსსა და ხასიათში. თუ შეკითხვა რთული არ არის და არ საჭიროებს საცნობო აპარატურის გამოყენებას, მაშინ ბიბლიოთეკარი მკითხველს აძლევს ზეპირ ცნობას, რომლის სისწორეში იგი ღრმად არის დარწმუნებული.

ზოგჯერ შეკითხვა შეიძლება იმდენად რთული იყოს, რომ ბიბლიოგრაფიული წყაროების, სპეციალისტის დახმარებითა და სხვა საშუალებების გამოყენებითაც კი ვერ ვაძლევთ მკითხველს ზუსტ პასუხს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა არ ავჩქარდეთ, დახმარებისათვის მივმართოთ პარტიულ-კომკავშირულ ორგანიზაციას, პარტიულ ბიბლიოთეკას ან რესპუბლიკური და საოლქო ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიულ განყოფილებებს. ძირითადად ცნობების გაცემა ბიბლიოთეკაში საკუთარი ძალებით წარმოებს. ამიტომ საჭიროა ბიბლიოთეკის ყველა მუშაკი კარგად იცნობდეს საცნობო აპარატურას, ერკვეოდეს თითოეული ბიბლიოგრაფიული წყაროსა და საცნობო საშუალებების გამოყენების საქმეში და, რაც მთავარია, შეკითხვის თემის მოფიქრებულად გააზრების შემდეგ იცოდეს, პასუხის გასაცემად რომელი წყარო გამოიყენოს. რთული და ზოგადი ხასიათის შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვენდოთ ჩვენს მეხსიერებას, საჭიროა ვისარგებლოთ შესატყვისი და ავტორიტეტული წყაროებით და მათი საშუალებით მკითხველს მივაწოდოთ სახელმძღვანელო ლიტერატურა, რომელშიც იგი იპოვის პასუხებს მისთვის საჭირო საკითხებზე.

ხშირად ცნობის გაცემის სისწორეს ძირითადად განსაზღვრავს იმის ცოდნა, თუ ვისთვის ან რა დანიშნულებისათვის სჭირდება მკითხველს ცნობა. ეს ამოცანა რომ წარმატებით გადავჭრათ, საჭიროა ვიცოდეთ, ვისთან გვაქვს საქმე, რა თეორიულ-პოლიტიკური მომზადებისაა მკითხველი, რა პროფესიისა და განათლების მქონეა იგი. ყოველივე ეს გვესაჭიროება იმისათვის, რომ გაცემული ცნობა მკითხველის მომზადებას, განათლებასა და საწარმოო საქმიანობას შეესაბამებოდეს, ბუნებრივია, რომ რიგითი კოლმეურნისა და აგრონომისათვის ერთნაირი შინაარსის ცნობის გაცემა ერთსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე თემაზე იდეურად არ იქნება გამართლებული, რადგან აგრონომისათვის მიცემული ცნობა კოლმეურნისათვის ბუნდოვანი და შეიძლება გაუგებარიც იყოს. კოლმეურნისათვის მიცემული პასუხი უნდა იყოს უფრო მარტივი, გასაგები. ამგვარად, ცნობის გაცემის დროს ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ორი ძირითადი მაჩვენებელი მაინც: მკითხველის მომზადება-განათლება და საწარმოო საქმიანობა.

ბიბლიოთეკის მუშაობის პრაქტიკაში გავრცელებულია გაუგებარი სიტყვებისა და უკხო ტერმინების შესახებ ცნობების გაცემა. ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკარი, მოხერხებულად იყენებს რა ბიბლიოთეკაში არსებულ შესატყვის ლექსიკონებს, მკითხველს აწვდის ამა თუ იმ გაუგებარი სიტყვისა და ტერმინის მნიშვნელობის ზუსტ ახსნას.

ხშირად ბიბლიოთეკარები აღრიცხავენ ყალბ ბიბლიოგრაფიულ ცნობას. მაგალითად, აბონემენტის ზოგიერთი მუშაკი მკითხველის მიერ მოთხოვნილი წიგნების ბიბლიოთეკაში არარსებობის შემთხვევაში თაროდან რომელიმე წიგნის მიწოდება შერჩევას თვლის გაცემული ბიბლიოგრაფიულ ცნობად, რაც არ არის სწორი.

ბიბლიოგრაფიულ ცნობად შეიძლება ჩაითვალოს ის ზეპირი და წერილობითი პასუხი, რომელიც დამატებითი მუშაობის შესრულებას მოითხოვს, სახელდობრ, თუ მკითხველის მიერ მოთხოვნილი თემის ირგვლივ შერჩეული ლიტერატურა მოითხოვს დამატებით მასალების შერჩევას, შერჩეული მასალები თუ საჭიროებს კატალოგებთან, კარტოთეკებთან, ბიბლიოგრაფიულ წყაროებთან შეჯერება-შემოწმებას, დამატებით წყაროების დასახელებას და სხვ. წერილობითი ცნობების პირები, როგორც წესი, ინახება მათთვის განკუთვნილ სპეციალურ საქაღალდეებში ან კონვერტებში. პირების შენახვა ბიბლიოთეკისათვის მრავალმხრივ საინტერესოა; ჯერ ერთი, ის, რომ მსგავსი შეკითხვის განმეორების შემთხვევაში მზად გვაქვს პასუხები, მეორე მხრივ იგი გვაძლევს საშუალებას გავეცნოთ გაცემული ცნობის შინაარსს. დასასრულ, ასეთი პირები წარმოადგენენ წერილობითი ცნობების გაცემის დამადასტურებელ დოკუმენტს.

აქტიური საკითხებით მკითხველის დაინტერესების, მათდამი ყურადღების გამახვილების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია სარაიონო ბიბლიოთეკის მუშაკებს ვურჩიოთ რუსეთის მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაობის პრაქტიკაში გამართლებული ისეთი საშუალების დანერგვა, როგორიცაა საინფორმაციო ფარის გამოყენება, რომლის დანიშნულება და ამოცანები შემდეგში გამოიხატება.

ყოველდღიურად ცხოვრება ბევრ ისეთ საკითხებს აყენებს, რომლებიც ყველა საბჭოთა მშრომელს აინტერესებს. ასეთ საკითხთა რიცხვს განეკუთვნება: საერთაშორისო მდგომარეობა, საბჭოთა ადამიანის მორალური სახე, სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკების ხალხთა ცხოვრება, კულტურული მშენებლობა სსრ კავშირში და სხვ. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს მშრომელებში საერთაშორისო მდგომარეობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხები. იმ ბიბლიოთეკაში, სადაც კვალიფიციური კადრებია და საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დგას, არ უცდიან მკითხველთა შეკითხვებს, აღნიშნულ საინფორმაციო ფარზე თვით ბიბლიოთეკა ათავსებს საინტერესო შეკითხვებს საჭირო პასუხის გაცემით.

ამ მიზნით ისინი ფარზე აკეთებენ შემდეგი შინაარსის წარწერას: „კითხვები და პასუხები", „ვუპასუხებთ მკითხველთა შეკითხვებზე", „იცი თუ არა შენ". საინტერესო კითხვებსა და პასუხებთან, ერთად ფარზე თავსდება კითხვების პასუხებისათვის საჭირო მასალების მოკლე სია წყაროების დასახელებით (ლიტერატურის სარეკომენდაციო სიების მსგავსად). ასეთი ფარი ბიბლიოთეკას შეუძლია აგრეთვე გამოიყენოს თვითგანვითარებით მომუშავე, პარტიული განათლების ქსელში ჩაბმულთა და სხვა კატეგორიის მკითხველთა დასახმარებლად, მათთვის განკუთვნილი ღონისძიებების (ლექციების, ლიტერატურული საღამოების, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვების და სხვა ღონისძიებების) ინფორმაციებისათვის. ამ შემთხვევაში სასურველია ფარზე მოთავსდეს ჩამოთვლილ ღონისძიებებთან დაკავშირებით მკითხველთათვის გასაცნობი ლიტერატურის სია.

ასეთ საინფორმაციო ფარს იყენებენ გურჯაანის, თელავის, გორის, ზესტაფონის სარაიონო ბიბლიოთეკები; ფარი ჩამოთვლილ ბიბლიოთეკებში ორ ნაწილადაა გაყოფილი, მარცხნივ ჩამოწერილია საკითხები, მარჯვნივ—პასუხები შესაბამისი ლიტერატურის მოკლე სიის დართვით. ასეთი სახის მუშაობა, როგორც ამას ზესტაფონის სარაიონო ბიბლიოთეკის გამგე ამხ. ახრახაძე აღნიშნავს, „აუცილებლად სასარგებლოა და მნიშვნელოვნად ამცირებს მკითხველთა შეკითხვების რაოდენობას“.

მკითხველთა შეკითხვების, მათზე პასუხის გაცემის, სრულყოფილი ორგანიზაციის საქმეში რეკომენდებულია ბიბლიოთეკას ჰქონდეს შეკითხვის სპეციალური დაბეჭდილი ფურცელი შემდეგი ფორმით:

შ ე კ ი თ ხ ვ ი ს ფ უ რ ც ე ლ ი

. . . . . .

1. მკითხველის გვარი ს. მ. . . . . 2. ფორმულ. №. .
3. განათლება. . . . . 4. სპეციალობა. . . . . .
5. თანამდებობა. . . . . 6. მუშაობის ადგილი და მისამართი
. . . . . .

გთხოვთ მომცეთ ზუსტი ცნობები შემდეგ საკითხებზე
1. . . . . .
2 . . . . . .
3 . . . . . .
. . . . . .

ლიტერატურა მესაჭიროება (ლექციისათვის, მოხსენებისათვის, თემის გაცნობისათვის და სხვ. (გაუსვით ხაზი).
შეკითხვის თარიღი„. . “,. . . “,. . “ 195. . წ. მკითხვ. ხელმოწ. . .
„შეკითხვა მივიღე. . . . . ბიბლიოთეკარის ხელისმოწერა
ცნობის შესრულების თარიღი „. . . . “. . . . . 195 . . წ.

ბიბლიოთეკაში არსებული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებისა და წყაროების მოხერხებული გამოყენება, ერთი წყაროს მეორესთან შეჯერება, სპეციალისტების, ადგილობრივი პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების, რესპუბლიკური და საოლქო ბიბლიოთეკების საცნობო-ბიბლიოგრაფიული გან-

ყოფილებების დახმარება წარმოადგენენ იმ აუცილებელ პირობებს, რომლებზედაც მთლიანადაა დამოკიდებული მალალხარისხოვანი და შინაარსიანი ცნობების გაცემა მკითხველებზე.

ბ) ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა

ლიტერატურის პროპაგანდის, მკითხველთა წიგნით დაინტერესებისა და საცნობო ბიბლიოგრაფიული მუშაობის ერთ-ერთ მოხერხებულ ფორმას სარაიონო ბიბლიოთეკაში ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის მიზანს შეადგენს: გავსწიოთ მკითხველებში რეკომენდებული ლიტერატურის პროპაგანდა, დავაინტერესოთ მსმენელები ამა თუ იმ დარგის აქტუალური თემების წიგნების კითხვით, გავუღვიძოთ მათ წიგნის კითხვის ინტერესი, გავზარდოთ წიგნის გაცემის რაოდენობა და ბიბლიოთეკის მკითხველთა რიგებში გავაერთიანოთ მიმოხილვაზე დამსწრე ბიბლიოთეკის არამკითხველები.

მიმოხილვა გულისხმობს წიგნის მოკლე შინაარსის, მისი იდეურ-პოლიტიკური მხარის, დედაარსის, წიგნის მეცნიერულ-პრაქტიკული დანიშნულების გაშლილი გადმოცემას. მიმოხილვის ერთ-ერთი დადებითი მხარეა მისი ელასტიკურობა. ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის სისტემატური ჩატარება შესაძლებელია არა მარტო თვით ბიბლიოთეკაში, მოძრავებში, გაცემის პუნქტებში, არამედ ლიტერატურული საღამოების, მკითხველთა კონფერენციების, კრებების, თათბირების, წრეობრივი მუშაობის დაწყების ან დამთავრების შემდეგ. მიმოხილვის ეფექტურობა ჩვეულებრივად მის სრულყოფილ მომზადებაზეა დამოკიდებული. მკითხველთა უმრავლესობისათვის საინტერესო და აქტუალური თემის შერჩევა, მისი ღრმად დამუშავება და გაცნობა, მიმოხილვის ჩამტარებლის მიერ თემისათვის შერჩეული წიგნების შინაარსის თანმიმდევრული განხილვა, შესატყვისი ილუსტრირებული მასალების: პლაკატების, სქემების, დიაგრამების, ფოტოსტენდების, გეოგრაფიული რუკებისა და სხვათა გამოყენება წარმოადგენენ მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხილვის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

მიმოხილვის მომზადება ჩვეულებრივად ყოველთვის მკითხველთათვის საინტერესო და აქტუალური თემის შერჩევით იწყება. თემის შერჩევის შემდეგ საჭიროა სპეციალისტის შერჩევა და მისთვის დავალების მიცემა. თუ მიმოხილვას ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი ატარებს, საჭიროა მას გავუწიოთ დახმარება თემის შესატყვისი წიგნებისა და ილუსტრირებული მასალების შერჩევით, გავაცნოთ თემასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკაში არსებული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები, სარეკომენდაციო სიები, ერთი სიტყვით, შევუქმნათ პირობები მიმოხილვის მაღალხარისხოვნად მომზადებისათვის. აბონემენტზე, მოძრავებში, გაცემის პუნქტებში უნდა გავაძლიეროთ მიმოხილვის თემის შესატყვისი ლიტერატურის პროპაგანდა, სისტემატურად ჩავატაროთ ხმამაღალი კითხვა-საუბრები, მიმოხილვის თემისადმი შერჩეული წიგნების კოლექტიური განხილვა, თემისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენის კოლექტიური დათვალიერება და სხვ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მიმოხილვა მაშინ მიაღწევს მიზანს, როდესაც გათვალისწინებული გვექნება აგრეთვე დამსწრე მკითხველთა შემადგენლობა, რათა მათი ინტერესების შესაბამისად წარიმართოს მიმოხილვის თემის ძირითადი საკვანძო საკითხები. გარდა იმისა, რომ მომხსენებელი საფუძვლიანად უნდა იცნობდეს თემისათვის შერჩეულ მიმოსახილველ წიგნებს, ამავე დროს იგი შერჩეული წიგნების შესახებ არსებული რეცენზიების, კრიტიკული მასალების შესწავლით ყოველმხრივ უნდა მოემზადოს მიმოხილვის მაღალიდეურად ჩატარებისათვის.

როგორც წესი, აუცილებელია ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა წერილობითი ტექსტის სახით შედგეს; იგი უნდა შეიცავდეს 3 ძირითად ნაწილს: 1) შესავალი, რომელშიც გადმოცემული იქნება მიმოხილვის თემის ხასიათი, ამოცანები, და მნიშვნელობა. 2) ძირითადი ნაწილი, რომელშიც გახსნილი იქნება შერჩეული წიგნების დედააზრი და საკვანძო საკითხები. 3) დასასრული, რომლის საშუალებით მსმენელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეცნობა მიმოხილვისათვის შერჩეული წიგნების შესახებ ძირითად დასკნებსა და დებულებებს, მათ პრაქტიკულ მნიშვნელობასა და მაღალიდეურობას.

მიმოხილვის ხანგრძლიობა რეკომენდებულია განისაზღვროს 25—35 წუთით. იგი ძირითადში დამოკიდებულია შერჩეული ლიტერატურის რაოდენობასა და მოცულობაზე. ყოველთვის უნდა ვერიდოთ მიმოხილვის გაჭიანურებას, მაღალფარდოვანი სიტყვებით მის გადაცემას. საკმარისია ოდნავი ზედმეტი საუბრით გადატვირთო აუდიტორია, რომ იგი მოსაწყენი გახდება და მსმენელთა გადაღლას გამოიწვევს, გარდა ამისა, მიმოხილვა მოსაწყენი ხდება იმ შემთგვევაშიც, როცა სათანადოდ არ არის მომზადებული ანდა შერჩეული თემა არააქტუალურია, ე. ი. იგი მკითხველთა მოთხოვნილებებსა და ინტერესს არ უპასუხებს. მიმოხილვამ რომ მოსაწყენი სახე არ მიიღოს, საჭიროა იგი ჩატარდეს მოკლე და სხარტ ფორმებში, ამავე დროს ერთი წიგნის შინაარსიდან მეორეზე გადასვლა ხდებოდეს ისე, რომ არ ირღვეოდეს თემასთან დაკავშირებით შერჩეული წიგნების დედააზრი (ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის ჩატარება რეკომენდებულია 5—6 წიგნზე). თითოეული წიგნის შინაარსი მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს და შესატყვისი ილუსტრირებული მასალების დემონსტრირებით მკითხველი თემით იქნეს დაინტერესებული. მაშასადამე, მიმოხილვის თემის მთავარ იდეასთან დაკავშირებით გადაცემული ყოველი წიგნის მოკლე შინაარსი, მათი საკვანძო საკითხები გადმოცემულ უნდა იქნეს თვალსაჩინოების დამხმარე მასალების გამოყენებით, მთელი მიმოხილვის ერთ კომპლექსურ მთლიანობაში წარმოსახვით. აუდიტორიისათვის ნათელი და გასაგები უნდა გახდეს მიმოხილვის თემის მთლიანი და ძირითადი იდეა.

წლიურ და კვარტალურ სამუშაო გეგმებში ბიბლიოგრაფიული მიმოხილვების დაგეგმვის დროს ბიბლიოთეკა უნდა ითვალისწინებდეს ცხოვრების მიერ წამოჭრილ აქტუალურ და რაიონის საწარმოო თავისებურების შესაფერის საკითხებს. ასეთი თემებისა და საკითხების შერჩევის დროს უნდა ვიყენებდეთ კალენდრებს, ბიბლიოგრაფიულ წყაროებს. გასული

წლის საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ანალიზით, რაიონის საწარმოო პროფილის, სამეურნეო-პოლიტიკური საკითხების ყოველდღიური ცოდნით ბიბლიოთეკარს შეუძლია ძირითადში ზუსტად განსაზღვროს წლის განმავლობაში ჩასატარებელი მიმოხილვების თემები და გაანაწილოს ისინი სამუშაო გეგმაში. წლის განმავლობაში რეკომენდებულია საერაიონო ბიბლიოთეკაში 20—25 ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის ჩატარება: საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკურ თემებზე 2—3 ჯერ, მეცნიერულ-ათეისტურ თემაზე 1—2-ჯერ, მხატვრულ ლიტერატურაზე 6—7-ჯერ ახლად შემოსულ ლიტერატურაზე რამდენჯერმე და ა. შ. მართალია, მაღალიდეურად და სრულყოფილად მომზადებული ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა გარკვეულ დროს მოითხოვს, მაგრამ მომზადების შემდეგ საშუალება გვეძლევა რამდენჯერმე ჩავატაროთ მკითხველებთან, დარბაზში, მოძრავებში, გაცემის პუნქტებში, მტს-ის, ფერმების მუშაკებთან იმ პირობით, რომ მიმოხილვის თემა შეეფერებოდეს აღნიშნული დაწესებულებების მუშაკთა საწარმოო საქმიანობასა და ინტერესს. ასეთი მიმოხილვების ჩატარების კარგ მაგალითს გვაძლევს სიღნაღის საერაიონო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკამ მომზადებული მიმოხილვა ჩაატარა თემაზე — „ახალი წიგნები მეცხოველეობაზე". გარდა ბიბლიოთეკისა, მიმოხილვა ჩატარდა სოფ. ანაგის, ბოდბისხევის, ბოდბეს, ვაქირის მესაქონლეობის ფერმის მუშაკებთან. მიმოხილვას, რომელსაც თვით ბიბლიოთეკის გამგე შეითნიშვილი ატარებდა, თან ახლდა დიაგრამის — „მეცხოველეობის ზრდა-განვითარება სიღნაღის რაიონში 1956—1960 წლებში" — დემონსტრირება და ამ თემაზე ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის სარეკომენდაციო სია. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად ბიბლიოთეკის დაუსწრებელი აბონემენტით მოსარგებლე მკითხველთა რიცხვს 19 ფერმის მუშაკი შეემატა, მათ შორის: 4 ფერმის გამგე, 2 ზოოტექნიკოსი, 5 მწველავი, 6 მწყემსი და 2 ჩვილი ხბოების მომვლელი, რომლებიც ამჟამად ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წელს კულტურის სამინისტროს მიერ მოწყობილი სარაიონო ბიბლიოთეკების გამგეთა რესპუბლიკურ კურს-კონფერენციაზე ბიბლიოთეკის გამგემ ამხანაგმა შეითნიშვილმა ამ სახის მუშაობის ნაყოფიერების შესახებ შემდეგი განაცხადა: „ფერმის მუშაკებთან ამ მეთოდით მუშაობის პრაქტიკამ დამარწმუნა, რომ მიმოხილვის სისტემატურ ჩატარებას აქტუალურ თემებზე დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია როგორც ბიბლიოთეკის მკითხველთა და წიგნის გაცემის ზრდის საქმეში, ისე მკითხველთა საწარმოო საქმიანობის ამაღლებისათვის. გადაწყვეტილი გვაქვს მომზადებული მიმოხილვა მეცხოველეობის თემაზე ჩავატაროთ რაიონის ყველა კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებში“. სიღნაღის სარაიონო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის გასვლით ჩატარების ეს კარგი გამოცდილება სასურველია რესპუბლიკის ყველა სარაიონო ბიბლიოთეკამ გაიზიაროს და პრაქტიკაში განახორციელოს.

გ) საინფორმაციო — ბიბლიოგრაფიული მუშაობა

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ერთ-ერთი აქტუალური ფორმაა საინფორმაციო მუშაობა, რომლის საშუალებით ბიბლიოთეკა სისტემატურად ახდენს როგორც მკითხველების, ასევე რაიონის საწარმო-დაწესებულებების, ხელმძღვანელი ამხანაგების, სოფლის მშრომელების ინფორმირებას ბიბლიოთეკაში არსებული საუკეთესო და ახლად შემოსული ლიტერატურის შესახებ. ამ საქმის განსახორციელებლად ბიბლიოთეკა თავის მუშაობაში იყენებს ახლად მიღებული ლიტერატურის გამოფენას, წერილობით შეტყობინებას, საინფორმაციო ხასიათის პლაკატს, პრესას, რადიოს და სხვ. წერილობით ინფორმაცია-შეტყობინებას ბიბლიოთეკა პირველ რიგში უგზავნის სოფლის მეურნეობის ან მრეწველობის იმ მოწინავე ადამიანებს, რომლებიც ბიბლიოთეკის მკითხველები არ არიან. მთელი რიგი სარაიონო ბიბლიოთეკების მუშაობის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ წერილობითმა ინფორმაცია-შეტყობინებამ გაამართლა თავისი დანიშნულება. თელავის, ბოლ-

ნისის, სიღნაღის, ზესტაფონის, გორისა და სხვა ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილება ნათლად ამტკიცებს, რომ წერილობითი ინფორმაციის გაგზავნას მოწინავე ადამიანებისადმი ყოველთვის მოსდევს ბიბლიოთეკის მკითხველთა რიგებში მათი ჩაბმა. თუ შეტყობინების მიმღები ბიბლიოთეკიდან დიდი მანძილითაა დაშორებული, მაშინ იგი დაუსწრებელი აბონემენტის მკითხველთა რიგებში ერთიანდება და ამ გზით წარმოებს მისი საბიბლიოთეკო მომსახურება.

სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებთან წერილობით ინფორმაცია-შეტყობინების გაგზავნის კარგი ტრადიცია აქვს ბოლნისის სარაიონო ბიბლიოთეკას (გამგე ნ. რთველიაშვილი). როგორც კი რაიონულ პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ მტს-ის ტრაქტორისტმა ალ. კუზმინმა საგაზაფხულო ხვნის გეგმა წარმატებით შეასრულა, ბიბლიოთეკამ გადაწყვიტა ამხ. კუზმინის ბიბლიოთეკის მკითხველთა რიგებში ჩაბმა და მას შემდეგი შინაარსის წერილობითი შეტყობინება გაუგზავნა:

„პატივცემულ ამხანაგ კუზმინს“

სარაიონო ბიბლიოთეკას თავის ფონდში აქვს და პერიოდულად ღებულობს სხვა დარგის ლიტერატურასთან ერთად საინტერესო წიგნებს, ბროშურებს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის კერძოდ, ტრაქტორების რემონტისა და მოვლის შესახებ, ახლახან ბიბლიოთეკამ მიიღო აფხაიძის წიგნი „სოფლის მეურნეობის მანქანები და იარაღები“ (I—II ნაწილი). სუხიშვილის—„ორგანიზაციულად მოვაწყოთ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი“. მოწინავე ტრაქტორისტთა და კომბაინერთა გამოცდილების შესახებ საინტერესო სტატიები ქვეყნდება ჟურნალ „საქართველოს კოლმეურნესა“ და „მეცნიერება და ტექნიკაში“, გარდა აღნიშნული ლიტერატურისა ბიბლიოთეკიდან თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ თქვენი სპეციალობის შესახებ საჭირო ცნობები. გთხოვთ მობრძანდეთ ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკა ღიაა ყოველდღე, დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე, გარდა სამშაბათისა.

ამ ინფორმაციის გაგზავნამ კარგი შედეგი მოგვცა. ამჟამად ამხ. კუზმინი ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველია, მის ფორმულარში რეგისტრირებულია 27 წიგნი, რომელთაგან სოფლის მეურნეობის მექანიზაციის თემას შეეხება. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა როლი შეასრულა აღნიშნულმა ინფორმაციამ, მოვიყვანთ მოკლე ამონაწერს ბიბლიოთეკის მუშაკებისადმი კუზმინის წერილიდან: „ძვირფასო ამხანაგებო! უკვე წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც მე თქვენი წერილის მიღების შედეგად ბიბლიოთეკის მკითხველი გავხდი, უზომოა ის დახმარება, რაც მე ბიბლიოთეკიდან მიღებულმა წიგნებმა გამიწიეს. როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, წელს ხვნის გეგმა 30% გადაჭარბებით შევასრულე, ვიმაღლებ რა კვალიფიკაციას წიგნების დახმარებით, ვფიქრობ, უფრო კარგ მაჩვენებლებს მოვიპოვებ მუშაობაში“...

საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ერთ-ერთი აქტიური ფორმაა მსხვილი საწარმო დაწესებულებების კედლის გაზეთებისათვის ახლად მიღებული წიგნების შესახებ ინფორმაცია-კორესპონდენციების მიწოდება. კედლის გაზეთები საწარმო-დაწესებულებათა ცხოვრებას ასახავენ და მათ გულდასმით კითხულობენ მუშა-მოსამსახურენი, ახლად მიღებული წიგნების შესახებ მიწოდებული ინფორმაციები თავისებურ სამსახურს უწევს მშრომელებში წიგნის პროპაგანდას.

ახლად მიღებული ლიტერატურის შესახებ მშრომელთა ფართო ფენების ინფორმაციის კარგი საშუალებაა ადგილობრივი პრესა და რადიო. ყველა ბიბლიოთეკას აქვს საშუალება სისტემატურად მოათავსოს რაიონულ გაზეთში ინფორმაციები სათაურით „ახალი წიგნები“, „წიგნის თარო“, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სარაიონო ბიბლიოთეკების უმრავლესობა მუშაობის ამ მეთოდს არ იყენებს. რესპუბლიკის მოწინავე სარაიონო ბიბლიოთეკები (სამტრედიის, აბაშის, გურჯაანის, მახარაძის, წალენჯიხისა და სხვ.) გარდა ასეთი შინაარსის ინფორმაციისა, პრესაში ათავსებენ აგრეთვე კო-

რესპოდენციებს შემდეგ თემებზე: „ახალი წიგნები სოფლის მექანიზაციის შესახებ“, „ახალი წიგნები მევენახეობაზე“, „ლიტერატურა ტექნიკის შესახებ“, „ახალი წიგნები მოსწავლეთათვის“ და სხვ.

საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის საჭიროა აგრეთვე ახალმიღებულ ლიტერატურის სიების შედგენა და საწარმო-დაწესებულებებში, დაგზავნა, პლაკატის გაფორმება, ტელეფონით შეტყობინება, ლიტერატურის გამოფენის მოწყობა და სხვ.

ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის სრულყოფილი ორგანიზაცია მოსახლეობის ფართო ფენების სამსახურში მისი ჩაყენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობისა და სოფლის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

როგორც სარაიონო ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილება მოწმობს, ყველა სარაიონო ბიბლიოთეკას შეუძლია საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ეს სახე სათანადო სიმაღლეზე დააყენოს თუკი მას სათავეში ჩაუდგებიან თვით ბიბლიოთეკის გამგეები და მთელ კოლექტივთან ერთად იბრძოლებენ ბიბლიოგრაფიული ინფორმაციების პრაქტიკაში დანერგვისათვის.

დ) კითხვა-პასუხის საღამო

კითხვა-პასუხის საღამო საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ერთ-ერთი გავრცელებული და მასობრივი ფორმაა. მასობრივი მას იმიტომ ეწოდება, რომ აქ უკვე საქმე გვაქვს არა ცალკეულ მკითხველთა ინდივიდუალურ მომსახურებასთან, არამედ მკითხველთა გარკვეული ჯგუფების ბიბლიოგრაფიულ მომსახურებასთან. კითხვა-პასუხის საღამოს ჩატარებით ბიბლიოთეკა ერთდროულად ორ საქმეს აკეთებს: ჯერ ერთი, პასუხის გაცემით აკმაყოფილებს თვით შემკითხველს და მეორეც, მკითხველების კითხვებზე პასუხის გაცემით ეხმარება სხვა მკითხველებს.

კითხვა-პასუხის საღამო შეიძლება მიეძღვნას ერთ რომელიმე ზოგად საკითხს ან თემის გაშლილ განხილვას, ანდა

მკითხველთა მიერ დასმულ მრავალ საკითხებზე პასუხის გაცემას. ჩვეულებრივად ამ ღონისძიებების ჩასატარებლად იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაში სასურველია შეყვანილ იქნენ პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების, რაიონის მოწინავე სპეციალისტ-მკითხველების წარმომადგენლები. საღამოს ჩატარებამდე ერთი ან ორი კვირით ადრე ბიბლიოთეკა აგროვებს მკითხველთა შეკითხვებს და პასუხის მოსამზადებლად გადასცემს კომისიას რომელიც შეკითხვებს ანაწილებს სპეციალისტებზე. პარალელურად ამისა ბიბლიოთეკის ყველა განყოფილებაში, მოძრაველებში, გაცემის პუნქტებში წარმოებს პროპაგანდა მკითხველებში, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ საღამოების ჩატარებაში. საღამოს ორგანიზებულად ჩატარებისათვის კომისია ადგენს გეგმას, რომელშიც დაახლოებით შემდეგი საკითხები უნდა იქნეს გათვალისწინებული: საღამოს ჩატარების თარიღი და საათი, პასუხების მომზადების ვადა, ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა ძირითად საკითხებზე, საღამოზე გასაცემი პასუხების შესახებ არსებული ძირითადი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიის შედგენა, ერთ ან ორ შეკითხვაზე პლაკატის გაფორმება, ალბომის შედგენა, კედლის გაზეთის სპეციალური ნომრის გამოშვება, განცხადების ტექსტის შედგენა-გაფორმება და მსხვილ საწარმოებში მისი გამოკვრა, ინფორმაცია პრესაში და სხვ. გეგმაში ჩამოთვლილი ყველა ამ საკითხების შესახებ ფართო ინფორმაციის მიწოდებით მკითხველთათვის ცნობილი უნდა იყოს საღამოს ჩატარების ვადა და განსახილველი საკითხები. მსხვილ საწარმოებში (მტს-ში, ფერმებში, ფაბრიკებში, სკოლებში) საჭიროა გამოვაკრათ საღამოს ჩატარების მაუწყებელი შემდეგი შინაარსის ლამაზად გაფორმებული განცხადება:

„მიმდინარე წლის 20 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, სარაიონო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შედგება კითხვა-პასუხის საღამო თემაზე. — „ადამიანის წარმოშობა“. საკითხის ირგვლივ თქვენთვის საინტერესო შეკითხვებს ღებულობს ბიბლიოთეკის გამგე და დარბაზის გამგე. გთხოვთ საკითხების შემოტანასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიი-

ლოთ საღამოს ჩატარებაში. მოგვაწოდეთ შეკითხვები თქვენი სურვილისამებრ“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განცხადების ბოლოს იქნება ხელმოწერა — **სარაიონო ბიბ-**
ლიოთეკა

საღამოს მომზადების პერიოდში საჭიროა გამახვილებულ იქნეს ყურადღება ბიბლიოთეკის არამკითხველთა მოსაზიდავად. ამ მიზნით სასურველია განვახორციელოთ ოჯახების შემოვლა, ყოველ ოჯახში წიგნების გაცემასთან ერთად ჩავატაროთ საუბრები საღამოს თემასთან დაკავშირებით, გამოვიყენოთ ყველა საშუალება, რათა დავაინტერესოთ ისინი. მთელი მუშაობა უნდა წავმართოთ იმისაკენ, რომ რაც შეიძლება მეტი მსმენელი იღებდეს მონაწილეობას საღამოს ჩატარებაში. ლიტერატურის გამოფენით, სარეკომენდაციო სიებით, პლაკატებით, საილუსტრაციო მასალებით, სისუფთავის დაცვით, დარბაზის მიმზიდველი გაფორმებით საღამო საზეიმო ელფერს უნდა ატარებდეს. საღამოს შესავალი სიტყვით ხსნის ბიბლიოთეკის გამგე, რომელიც მსმენელებს აცნობს საღამოს მიზანსა და ამოცანას, დღის წესრიგსა და პროგრამას. შემდეგ იწყება შეკითხვებზე პასუხის გაცემა რთული საკითხებიდან. შეკითხვებზე პასუხის გამცემი სპეციალისტები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ თვალსაჩინოების საჭირო მასალებით, რომლებსაც გამოიყენებენ პასუხების მკაფიოდ ჩამოყალიბებისათვის. კარგია, თუ აუდიტორიას აქვე გავაცნობთ შეკითხვებზე არსებული ლიტერატურის სიებს და მოვუწოდებთ მათ საკითხის უფრო დეტალურად გაცნობისათვის წაიკითხონ ჩამოთვლილი ლიტერატურა. ყველა ამ საშუალების გამოყენებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საღამოზე დამსწრენი სახლში დაბრუნდნენ საკითხზე ნათელი წარმოდგენით. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ ესა თუ ის საკითხი ბუნდოვნად იქნეს გაშუქებული.

გარდა იმისა, რომ საღამოს საშუალებით ვეხმარებით მკითხველებს მათთვის გაუგებარი და საინტერესო საკითხების გარკვევაში, ამავე დროს საღამოს სისტემატურ ორგანიზაციას აქვს შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნე-

ლობა. მკითხველი, ისე როგორც მკითხველთა კონფერენციის დროს, ეჩვევა საზოგადოების წინაშე საჯაროდ გამოსვლას, მასში ყალიბდება კოლექტიური მსჯელობის, საკითხისადმი კრიტიკული მიდგომის ჩვევები. ამასთანავე კითხვა-პასუხის საღამოს სისტემატური ორგანიზაცია მკითხველთა შემადგენლობის, წიგნის გაცემის რაოდენობის გადიდებისა და საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ე) კითხვის ინდივიდუალური გეგმა

პარტიული განათლების ქსელში, აგრო-ზოოტექნიკურ კურსებში ჩაბმულ, თვითგანვითარებითა და საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მომუშავე მკითხველთა კითხვის ხელმძღვანელობისათვის ბიბლიოთეკარს უნდა შეეძლოს არა მარტო იმ ლიტერატურის დასახელება-ჩამოთვლა, რომელიც მკითხველმა უნდა წაიკითხოს, არამედ რჩევის მიცემაც, თუ როგორი წესით და როგორი თანმიმდევრობით იკითხოს მკითხველმა დასახელებული ლიტერატურა.

ამ ამოცანის გადაწყვეტისას ბიბლიოთეკარის წინაშე დგება საკითხი მკითხველთა კითხვის სრულყოფილი ხელმძღვანელობისათვის კითხვის ინდივიდუალური გეგმების შედგენის შესახებ.

კითხვის გეგმა წარმოადგენს ამა თუ იმ საკითხზე ან თემაზე ჩამოთვლილი წიგნების მოკლე სარეკომენდაციო სიას, რომელიც 7—10 წიგნს მოიცავს და ინახება მკითხველის ფორმულარში, გეგმის ძირითადი მიზანია დაეხმაროს მკითხველს საწარმოო სპეციალობის ამაღლების, გონებრივი ჰორიზონტისა და კითხვის ინტერესის განვითარება-გაფართოებაში, გადაიყვანოს მკითხველი თანდათანობით ერთი დარგის წიგნების კითხვიდან მეორე დარგის ლიტერატურის კითხვაზე. მუშაობის პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა როცა მკითხველი მხოლოდ მეცნიერების ერთი დარგის ან თავისი სპეციალობის ლიტერატურის კითხვით იფარგლება. სწორედ ამ დროს არის საჭირო კითხვის სწორი ხელმძღვანელობის გან-

ხორციელება მკითხველზე. მკითხველი რომ გამოვიყვანოთ ამ მდგომარეობიდან, საჭიროა ვიცოდეთ მისი განათლება, პროფესია, საწარმოო საქმიანობა, მუშაობის მაჩვენებლები და სხვ. ამის გათვალისწინებით უნდა შევურჩიოთ ისეთი წიგნები, რომლებიც მის მოთხოვნილებებს შეესაბამება. ამდენად კითხვის გეგმის შედგენა რთული საქმეა და იგი გულმოდგინე, მოფიქრებულ მუშაობას მოითხოვს. მაგალითად, თუ კითხვის გეგმას სოფლის მეურნეობის სოციალისტური შრომის გმირს ვუდგენთ, საჭიროა ვიცოდეთ, სოფლის მეურნეობის რომელ დარგში და რა თანამდებობაზე მუშაობს, რა განათლებისა და მომზადებისაა, როდის და რა მაჩვენებლებისათვის მიიღო გმირის წოდება, არის თუ არა რომელიმე ტიპის წრეში ჩაბმული, რა შინაარსის წიგნების კითხვით არის დაინტერესებული და სხვ. ყოველივე ამის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ამ კატეგორიის მკითხველისათვის კითხვის გეგმის შედგენაში სწორი ორიენტაციის აღება.

ხელმძღვანელობს რა ასეთი მონაცემებით, ზესტაფონის სარაიონო ბიბლიოთეკის კოლექტივი სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს სისტემატურად უდგენს კითხვის ინდივიდუალურ გეგმებს. სანიმუშოდ მოგვყავს ბიბლიოთეკის მიერ სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ყურძნის მაღალ მოსავლის ოსტატის სოციალისტური შრომის გმირ ვ. კვანტრიშვილისათვის შედგენილი კითხვის გეგმის ნიმუში.

გმირის თხოვნაზე, რომ მას სჭირდებოდა ლიტერატურა მევენახეობის შესახებ, ბიბლიოთეკამ კითხვის ინდივიდუალური გეგმის მიწოდებით უპასუხა. კითხვის გეგმით, რომელიც ნოვატორის ფორმულარში ინახება, ლიტერატურა შემდეგი თანმიმდევრობით არის ჩამოთვლილი: გეგმის პირველ ნაწილში სოფლის მეურნეობის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებების გარდა დასახელებულია ლიტერატურა მევენახეობის ისტორიისა და მისი განვითარების შესახებ საქართველოში. მე-2 ნაწილში ჩამოთვლილია წიგნები ვაზის გაშენების, მოვლისა და ნიადაგის დამუშავების შესახებ, მე-3 ნაწილში დასახელებულია ბროშურები, რომლებიც მოწინავე

მევენახეთა გამოცდილებებს ასახავენ. ლიტერატურის ასეთ თანმიმდევრობით განლაგებამ კითხვის გეგმას შემდეგი სახე მისცა:

პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ტაბიძე — „მევენახეობის განვითარება საქართველოში“, „ვაზის ჯიში კამბარე“ (მისივე), ახვლედიანი — „ახალი ვაზის გაშენება“, რამიშვილი — „ნამყენი ვაზის გამოყვანა“, მიროტაძე — „ვაზის სელექცია“, გამყრელიძე — „ვაზის მწვანე ოპერაციები,“ ლომკაცი „ვაზის გასხვლა ფორმირება“. ალექსიძე — „ვაზის მთავარი მავნებლები და მათთან ბრძოლა“, სანიკიძე — „მინერალური სასუქების რაციონალური გამოყენება მევენახეობაში“, ქანთარია — „კვლევითი მუშაობის ზოგიერთი საკითხი მევენახეობაში“, „მოწინავე მევენახეთა გამოცდილება“.

გეგმის შედგენისას ბიბლიოთეკა ძირითად მიზნად ისახავდა მკითხველისათვის მიეწოდებინა ისეთი ლიტერატურა, რომელიც მევენახეობის ამ მოწინავე ადამიანს აცნობდა ვაზის განვითარების ისტორიას, ვაზის გაშენების, მოვლის, ნიადაგის გაპოხიერების, მწვანე ოპერაციების პრაქტიკულ საკითხებს და მაღალი მოსავლისათვის ბრძოლის ნაცად მეთოდებს. ამავე დროს გეგმაში ლიტერატურის განლაგება მტკიცედ იცავდა კითხვის ხელმძღვანელობის ერთ-ერთ პრინციპს, რაც გულისხმობს მარტივი შინაარსის წიგნის წაკითხვიდან რთულ შინაარსის წიგნებზე გადასვლას.

თუ რა დახმარება გაუწია აღნიშნული წიგნების შესწავლამ ამხ. კვანტრიშვილს, ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა გმირის მიერ სარაიონო ბიბლიოთეკის მუშაკებისადმი და რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილების მეთოდისტ ამხ. გ. კიპაროიძისადმი გამოგზავნილი წერილი, რომელშიც წერს: „...ყურძნის მოსავალის იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალი მაჩვენებლების მიღებაში, რასაც მე მივაღწიე, დიდი დახმარება გამიწია სარაიონო ბიბლიოთეკიდან მიღებულმა წიგნებმა, რომელსაც ბიბლიოთეკა შეუფერხებლივ მაწვდის. მწამს, რომ ჩემი ენერგიული შრომით, მოწინავე მევენახეთა გამოცდილებების გაცნობით კიდევ უფრო კარგ მაჩვენებლებს მივაღწევ და პირნათლად გავანაღდებ ხალხის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას...“

გარდა იმისა, რომ კითხვის გეგმაში ლიტერატურის დასახელება მტკიცედ უნდა იცავდეს მარტივიდან რთულისაკენ გადასვლის პრინციპს, ამავე დროს გეგმა უნდა გამომდინარეობდეს მკითხველის ინტერესების, მათი თეორიულ-პოლიტიკური დონისა და კვალიფიკაციის ამაღლების, კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის პრინციპებიდან. კითხვის გეგმა, რომ ამ პრინციპებზე იქნეს აგებული, საჭიროა იგი მკითხველის თანდასწრებით შევადგინოთ. ამ შემთხვევაში გეგმის შედგენა უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე დაუსწრებელი აბონემენტით მოსარგებლე მკითხველის კითხვის გეგმის შედგენა; ბუნებრივია, რომ ამ უკანასკნელ მეთოდით მკითხველის მომსახურეობის დროს მას ისე ახლოს არ ვიცნობთ, როგორც ჩვეულებრივ მკითხველს, რადგან ზუსტად არ ვიცით მისი ინტერესი და მოთხოვნილებები, საწარმოო მაჩვენებლები და სხვ. ამიტომ საჭიროა კითხვის გეგმის შედგენამდე მკითხველს მივწეროთ გვიპასუხოს შემდეგ კითხვებზე: სოფლის-მეურნეობის რომელ დარგში მუშაობს (სპეციალობისა და განათლების ჩვენებით) როგორი წიგნების კითხვითაა დაინტერესებული, რა მიზნით კითხულობს, რა მაჩვენებლები აქვს საწარმოო საქმიანობაში, თავისი სპეციალობის რა და რა წიგნები აქვს წაკითხული. ამ უკანასკნელის ცოდნა გვესაჭიროება იმისათვის, რომ გეგმაში არ შევიტანოთ ისეთი წიგნი, რომელიც მკითხველს უკვე წაკითხული აქვს, და გეგმაში შეუტანელი არ დაგვრჩეს ისეთი წიგნი, რომელიც მას არ წაუკითხავს, ხოლო მისი წაკითხვა აუცილებელია. ასეთი ცნობების მიღების შემდეგ ბიბლიოთეკარი, ითვალისწინებს რა მკითხველის მოთხოვნილებებს, ადგენს კითხვის ინდივიდუალურ გეგმას და მის გაგზავნასთან ერთად მკითხველს სთხოვს აცნობოს

ბიბლიოთეკას თავისი აზრი გეგმის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებით დამტკიცებულია, თუ რაოდენ დიდი დახმარების გაწევა შეუძლია კითხვის გეგმებს მკითხველთა სწორი ხელმძღვანელობის, მათი საწარმოო საქმიანობის ამაღლების, თეორიულ-პრაქტიკული მომზადების გაფართოების საქმეში. ეს მუშაობა ჩვენი რესპუბლიკის სარაიონო ბიბლიოთეკების პრაქტიკიდან გამორიცხულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზესტაფონისა და გურჯანის სარაიონო ბიბლიოთეკებს. სოფლის მეურნეობის მშრომელთა და საერთოდ მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება ლიტერატურაზე კი მოითხოვს, რომ სხვა ფორმებისა და მეთოდების გამოყენებასთან ერთად კითხვის ინდივიდუალური გეგმებით მკითხველთა მომსახურება მტკიცედ დაინერგოს სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და საბავშვო ბიბლიოთეკებში.

ვ) ლიტერატურის სარეკომენდაციო სია

წიგნის პროპაგანდის, მკითხველთათვის რეკომენდებული ლიტერატურის შერჩევა-მიწოდებისა და მათი საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების გაუმჯობესების საქმეში განუზომლად დიდია სარეკომენდაციო სიის მნიშვნელობა.

მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკურ საკითხებზე, თანამედროვე აქტუალურ თემებზე და ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით რესპუბლიკის მასობრივი ბიბლიოთეკები სარეკომენდაციო სიებს ღებულობენ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური და ალ. ჯაფარიძის სახელობის თბილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მეშვეობით. სარეკომენდაციო სიებისა და მეთოდური მასალების გამოცემის დროს რესპუბლიკური ბიბლიოთეკა უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს რესპუბლიკის მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის მაქსიმალურად დაკმაყოფილების აუცილებლობას, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ბიბლიოთეკისაგან დამოუკიდებელი სხვადასხვა მიზეზების გამო აღნიშნული მასალები მცირე ტირაჟით გამოდის, რის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაც ზოგი მასობრივი ბიბლიოთეკა, სახელდობრ, სასკოლო და კლუბებთან არსებული ბიბლიოთეკები აღნიშნული სახის დამხმარე მასალებს ვერ ღებულობს, ასეთ შემთხვევაში ყველა სარაიონო ბიბლიოთეკა ვალდებულია მიღებული მასალები გადაბეჭდვის ან გადაწერის საშუალებით გაავრცელოს პირველ რიგში საბიბლიოთეკო დაწესებულებებში. ხშირად პერიფერიის ბიბლიოთეკებში გვინდება ასეთი დამხმარე მასალების მიღება (ზოგჯერ თარიღის აღნიშვნის შემდეგ ღებულობს ბიბლიოთეკა სიას) ანდა გარკვეული მიზეზის გამო ზოგჯერ სტამბურად სულაც არ იცემა. ამ შემთხვევაში ის სარაიონო ბიბლიოთეკა, რომელიც შემოქმედებით მუშაობას ეწევა და მკითხველთა სრულყოფილ მომსახურეობას ჯეროვან ყურადღებას აქცევს, არ უცდის მასალის მზამზარეულ მიღებას ზემოდან და თვითონ ადგენს სარეკომენდაციო სიას.

ქართულ ენაზე საკმაო რაოდენობით არსებობს სარეკომენდაციო სიის შედგენის შესახებ მეთოდური ლიტერატურა. წინამდებარე ბროშურის საშუალებით საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი რჩევა-დარიგება და მეთოდური მითითებები მივცეთ საბიბლიოთეკო დარგის მუშაკებს სარეკომენდაციო სიის შედგენის საკითხების შესახებ.

პირველ ყოვლისა ყველა ბიბლიოთეკის მუშაკს უნდა ახსოვდეს, რომ სარეკომენდაციო სიის შედგენა მოითხოვს აუჩქარებელ და მოფიქრებულ მუშაობას. საჭიროა მოხერხებულად გამოვიყენოთ ამ საქმეში საცნობო-ბიბლიოგრაფიულ აპარატურაში არსებული ყველა შესატყვისი მასალა, შესადგენი სიის თემის მსგავსი სიები, ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები. სარეკომენდაციო სიის შედგენა უნდა ხორციელდებოდეს თემის მცოდნე სპეციალისტ-კონსულტატთა დახმარებითა და ხელმძღვანელობით. სიაში შესატანი ლიტერატურის შერჩევა, შერჩეული წიგნებისა და მასალების შინაარსობრივი სისტემატიზაცია, საცნობო ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის გამოყენება სპეციალისტ-კონსულტატთა დახმარებით წარმოადგენს სრულყოფილი სარეკომენდაციო სიის შედგენის ერთ-ერთ ძირითად და გადამწყვეტ პირობას.

სარეკომენდაციო სიისს სწორად შედგენას ხშირად თემის ზუსტი და მკაფიო განსაზღვრა განაპირობებს. შერჩეული თემა თავისი აქტუალობით უნდა უპასუხებდეს მკითხველთა მოთხოვნებს და რაიონის საწარმოო თავისებურებას. თემის განსაზღვრის შემდეგ საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს, მკითხველთა რომელი კატეგორიისათვის არის სია განკუთვნილი. თუ ვიცით, რომ სარეკომენდაციო სია განკუთვნილია სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებისათვის, თუ ვიცით, მკითხველთა ეს ჯგუფი მეურნეობის რომელ დარგშია გაერთიანებული და სიაში შესატანი ლიტერატურა მათი საწარმოო საქმიანობიდან და საჭიროებიდან გამომდინარეობს, მაშინ ადვილი ხდება ძირითადი ლიტერატურის შერჩევის კრიტერიუმის დადგენა. ლიტერატურის შერჩევის დროს, გარდა ზემოდაღნიშნული მასალებისა, უნდა ვხელმძღვანელობდეთ აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული კრიტიკული მასალებით. ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ბიბლიოთეკას თავისი ძალებით გაუძნელდეს სარეკომენდაციო სიის შედგენა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელი ავიღოთ მის შედგენაზე. ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა დახმარება-კონსულტაციისათვის მივმართოთ რესპუბლიკის წამყვან ბიბლიოთეკებს. უკეთესია სია შევადგინოთ ცოტა დაგვიანებით და კარგად, ვიდრე დროზე, მაგრამ უხარისხოდ.

ლიტერატურის შერჩევა-შესწავლის შემდეგ დგება მისი კარტოთეკა. კარტოთეკის თითოეულ ბარათზე შერჩეული ლიტერატურის აღწერილობა შეიტანება ბეჭდვით ნაწარმოებთა აღწერილობის ერთიანი წესების შესაბამისად. როცა სიაში შესატანი ლიტერატურა ასე თუ ისე ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებს, შემდეგ უნდა მოხდეს მისი სისტემატიზაცია. სარეკომენდაციო სიის სისტემატიზაციის მთავარ მომენტს კარტოთეკაში განყოფილებებისა და ქვეგანყოფილებების გამოყოფა და მათში შესაბამისი ლიტერატურის განლაგება წარმოადგენს. როდესაც კარტოთეკა სისტემატიზებული იქნება, შემდეგ საჭიროა მისი ერთხელ კიდევ გულდასმით შესწავლა და წყაროებთან შეჯერება, სიის სახით გადაწერა და, თუ შესაძლებლობა გვაქვს, დასაბეჭდად გადაცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველთა მიერ სარეკომენდაციო სიის მოხერხებულად გამოყენების მიზნით სასურველია სიას წინ წაემძღვაროს მოკლე შესავალი, რომელიც მკითხველს გააცნობს სიის დანიშნულებას, შინაარსს და მისი გამოყენების ძირითად საკითხებს.

სარეკომენდაციო სიის მასალების სისტემატიზაცია შემდეგი თანმიმდევრობით უნდა წარმოებდეს: პირველ რიგში ჩამოითვლება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები მოცემულ თემაზე, შემდეგ — პარტიისა და მთავრობის დადგენილებები, დირექტივები, რეზოლუციები, კანონთა კრებულები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მოხსენებები და სიტყვები. შემდეგ სიაში ჩამოითვლება თანამედროვე საბჭოთა მეცნიერების შრომები, აღნიშნულ თემაზე არსებული მოწინავე გამოცდილების ამსახველი ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთების მასალები. შერჩეული ლიტერატურის განლაგება სარეკომენდაციო სიაში ძირითადად ორი ვარიანტით წარმოებს: პირველი როცა ლიტერატურა ლაგდება შინაარსის მიხედვით, მეორე როდესაც ლიტერატურა ჩამოითვლება მისი გამოცემის წლების, ე. ი. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

თიანეთის სარაიონო ბიბლიოთეკის მიერ სოფლის მეურნეობის თემაზე — „სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის საბჭოთა კავშირში" — შედგენილი სარეკომენდაციო სია შემდეგ განყოფილებებს მოიცავს:

1. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები სოფლის მეურნეობის შესახებ.

2. პარტიისა და მთავრობის დადგენილებები სოფლის მეურნეობის შესახებ.

1. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა გამოსვლები, სიტყვები, მოხსენებები სოფლის მეურნეობის საკითხებე.

3. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

4. მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი აღმავლობისათვის.

იმასთან დაკავშირებით, რომ რაიონში სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს მეცხოველეობა წარმოადგენს, ბიბლიო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეკის მიერ სარეკომენდაციო სიის მეოთხე განყოფილებიდან/ შემდეგი ქვეგანყოფილებები იქნა გამოყოფილი:

1. მყარი საკვები ბაზა მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საფუძველია.

2. სიმინდი როგორც მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების მნიშვნელოვანი საშუალება;

3. მსხვილფეხა რქოსანი საქონელი;

4. მეცხვარეობა და მეღორეობა;

5. მეცხოველეთა გამოცდილება და თიანეთის რაიონის მოწინავე მეცხოველეები;

ასეთი სარეკომენდაციო სიით, რომელშიც დაახლოებით 200-მდე წიგნი, ბროშურა, და სტატიაა დასახელებული, ბიბლიოთეკამ უზრუნველყო სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურაზე მკითხველთა მზარდი მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

საჭიროა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ სხვადასხვა თემებზე სარეკომენდაციო სიების შედგენას თავისებური სპეციფიკა ახასიათებს. მაგალითად, ისტორიულ თემაზე სიის შედგენის დროს, გარდა იმისა, რომ დაცული უნდა იყოს ზემოთმოცემული მითითებები, ლიტერატურის განლაგება უნდა წარმოებდეს ისტორიის შესაბამის პერიოდების მიხედვით და ქრონოლოგიური რიგით. გეოგრაფიის საკითხებზე ჯერ ჩამოითვლება ისეთი წიგნები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის საერთო დახასიათების სურათს იძლევიან, შემდეგ — ქვეყნის ცალკეული მხარეების, რესპუბლიკების, ოლქების შესახებ არსებული ლიტერატურა და ა. შ. სარეკომენდაციო სიის ეფექტიურობა დამოკიდებულია აგრეთვე მის მხატვრულ გაფორმებაზე; შედგენილი სია ყოველთვის ლამაზად და მიმზიდველად უნდა იყოს გაფორმებული და ქონდეს სათანადო წარწერა.

თემის ზუსტი განსაზღვრა, ლიტერატურის შერჩევა მისი აქტუალობისა და მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებით, შერჩეული ლიტერატურის სწორი სისტემატიზაცია განყოფილებებში, სიის მხატვრული გაფორმება და მისი პროპაგანდა მკითხველებში ის ძირითადი და აუცილებელი პირობებია, რომლებიც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს სარეკომენდაციო სიის შედგენის დროს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4. ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდა მკითხველთა შორის

სარაიონო ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში უდიდეს როლს ასრულებს ბიბლიოგრაფიული ცოდნის აქტიური პროპაგანდა მკითხველთა შორის. მკითხველებში საცნობო ლიტერატურის გამოყენების, კატალოგებისა და კარტოთეკების დამოუკიდებლად სარგებლობის ჩვევების გამომუშავება ყველა ბიბლიოთეკის მუშაკთა გადაუდებელი ამოცანაა.

ზოგჯერ მკითხველს აზრადაც არ მოსდის ის, რომ მის მიერ მოთხოვნილი ლიტერატურის გარდა ამავე თემაზე უამრავი წიგნი და მასალა არსებობს. ძალიან ხშირად არ იცის ისიც, თუ მისთვის საინტერესო თემაზე რამდენი აქტუალური და საინტერესო ლიტერატურის შერჩევა შეიძლება ბიბლიოგრაფიის სარგებლობით, აქედან გამომდინარე ბიბლიოთეკის მუშაკები ვალდებული არიან მკითხველებთან მუშაობის ყოველი მომენტი გამოიყენონ ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდისათვის, გააცნონ მათ საცნობო ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის შემადგენლობა, კატალოგებისა და კარტოთეკების სტრუქტურა და პრინციპები, მათი სისტემატიზაცია, სარგებლობის წესები და სხვ.

მკითხველთა შორის ბიბლიგრაფიული ცოდნის პროპაგანდის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა საცნობო ლიტერატურის შესახებ მოწყობილი გამოფენა თემებზე — „ბიბლიოგრაფია მკითხველთა დასახმარებლად“. „ბიბლიოგრაფია მკითხველთა სამსახურში“, „საცნობო-ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა“ და სხვ.

ასეთ გამოფენას თან უნდა ახლდეს ბიბლიოთეკაში არსებული ამ ხასიათის ძირითადი ლიტერატურის სარეკომენდაციო სია, ლამაზად გაფორმებული საბიბლიოთეკო პლაკატი და სხვ.

ბიბლიოგრაფიული ცოდნის დანერგვის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წიგნადი ფონდის მეგზურების კატალოგებისა და კარტოთეკების პროპაგანდას. სისტემატურად უნდა ვატარებდეთ საუბრებს კატალოგებისა და კარტოთეკების გამოყენებისა და მნიშვნელობის შესახებ, ვადგენდეთ საბიბლიოთეკო პლაკატს თემებზე—„როგორ ვისარგებლოთ სისტემატური კატალოგით“, „როგორ ვისარგებლოთ ანბანური კატალოგით“, „ძირითადი ბიბლიოგრაფიული ცნობარები“ და სხვ.

აქვე ვაძლევთ ბიბლიოგრაფიული პლაკატის სანიმუშო სქემას თემაზე — **„როგორ ვისარგებლოთ კატალოგით: კარტოთეკით და საცნობარო მასალებით ლიტერატურის შერჩევის დროს“**, ეს იქნება საერთო სათაური პლაკატისა, შემდეგ, მეორე ნომრით, პლაკატი იწყება ქვესათაურით **„როგორ შევარჩიოთ საჭირო ლიტერატურა“** მესამე ნომრით პლაკატზე თავსდება ქვესათაურის პასუხისგამცემი შემდეგი შინაარსის ტექსტი: **„თქვენთვის საჭირო ლიტერატურის შერჩევა შეიძლება კატალოგის, კარტოთეკის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებისა და ცნობარების საშუალებით“**, ამ ტექსტის მარჯვნივ, მეოთხე ნომრით, პლაკატზე კეთდება ოთხკუთხედი საკატალაგო ყუთის უჯრისა გამყოფების ჩვენებით, მეხუთე ნომრით, მეოთხე ნომრის პარალელურად, პლაკატის მარცხენა მხარეს, მოთავსდება იმავე ზომის ოთხკუთხედი კარტოთეკის უჯრის გამოყენებით. ორივე ოთხკუთხედში მარცხენა მხერეს 1. 2 3. 4. 5 .. 8. 9.... და ასე შემდეგ ჩამოითვლება კატალოგისა და კარტოთეკის ძირითადი განყოფილებები. მეექვსე ნომრით, მეოთხე ნომრით მოთავსებულ ოთხკუთხედის ქვეშ, მოთავსდება შემდეგი შინაარსისტექსტი: **„სისტემატური კატალოგი გვიჩვენებს, ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის შემადგენლობას, ბარათები შესატყვის განყოფილებებში განლაგებულია ცოდნის დარგების, ხოლო დარგებს შორის — ავტორთა გვარების ანბანის**

მიხედვით. თქვენთვის საჭირო წიგნის მონახვის შემდეგ ამოიწერე ავტორი, სათაური, წიგნის შიფრი, გამოცემის წელი და მიღებისათვის მიაწოდე ბიბლიოთეკარს“

ასევე მეხუთე ნომრის ქვეშ მეშვიდე ნომრით თავსდება შემდეგი შინაარსის ტექსტი: **„ჟურნალ-გაზეთების კარტოთეკაში შეიძლება შეარჩიოთ სტატიები, რეცენზიები, კრიტიკული მასალები, საჭირო მასალის შერჩევის შემდეგ ამოწერეთ სტატიის ავტორი და სათაური, ჟურნალის ან გაზეთის სახელწოდება, ნომერი, წელი და რიცხვი. შერჩეული მასალის მიღების შესახებ მიმართეთ ბიბლიოთეკარს“.**

მოცემულ ოთხკუთხედებსა და ტექსტებს შორის მერვე ნომრით პლაკატზე კეთდება შემდეგი შინაარსის ტექსტი: **„თქვენი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ლექციებისა და მოხსენებების მომზადებისათვის საჭირო ლიტერატურის შერჩევა შესაძლებელია აგრეთვე ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებისა და სახელმძღვანელოების საშუალებით“.** ტექსტის ქვეშ მეცხრე ნომრით თავსდება პლაკატზე ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლისა და სახელმძღვანელოების გარეკანები. მეათე ნომრით პლაკატს მისდევს შემდეგი შინაარსის მოწოდება: **„გამოიყენეთ ბიბლიოგრაფია თქვენს მუშაობაში“.** მეთერთმეტე ნომრით აღნიშნული ტექსტის ქვეშ მოთავსდება შემდეგი შინაარსის წარწერა: **„წიგნის, ჟურნალის, გაზეთის კითხვასთან დაკავშირებით აქტიურად გამოიყენეთ აგრეთვე ისეთი პოპულარული საცნობარო გამოცემები, როგორიცაა: „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“, ფილოსოფიური, უცხო სიტყვათა, ორთოგრაფიული და სხვა ხასიათის ლექსიკონები“.** მეთორმეტე და მეცამეტე ნომრით პლაკატის მარცხენა და მარჯვენა კუთხეში მოთავსდება პოპულარული საცნობარო გამოცემების: **„დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“, უცხო სიტყვათა, ფილოსოფიური, ორთოგრაფიული და სხვა ლექსიკონების გარეკანები.** მეთოთხმეტე ნომრით აღნიშნულ გარეკანებს შორის მიეცემა ტექსტი **„დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ მნიშვნელობის შესახებ; „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე გამოცემა წარმოადგენს საბჭოთა მკითხველების ფართო წრეე-**

ბისათვის განკუთვნილ უნივერსალურ ცნობარს, ცოდნის ყველა დარგის კრებულს". მეთხუთმეტე ნომრით, პლაკატი მოიცდება შემდეგი შინაარსის ტექსტით: „ლექსიკონების საშუალებით შესაძლებლობა გეძლევათ ახსნათ თქვენთვის გაუგებარი სიტყვები, გამოთქმები და ტერმინები. ყველა სახის საცნობო გამოცემები საკმაო რაოდენობით მოეპოვება ბიბლიოთეკას. ისარგებლეთ საცნობო გამოცემებით თქვენს მუშაობაში".

მკითხველებში ბიბლიოგრაფიული ცოდნის აქტიური პროპაგანდის საქმეში თავისებური მნიშვნელობა აქვს საცნობო საშუალებათა ერთ ადგილას თავმოყრასა და მათს კომპლექსურ წარმოდგენას, ამიტომ აბონემენტზე კატალოგის გარდა სასურველია მოწყობილი იყოს ახლად მიღებული წიგნების გამოფენა, საცნობო ხასიათის ალბომი, სარეკომენდაციო სია; სამკითხველო დარბაზში — საცნობო ლიტერატურის გამოფენა, საბიბლიოთეკო პლაკატი, კარტოთეკები და სხვ. ე. ი. მოწყობილ იქნეს საცნობო-ბიბლიოგრაფიული კუთხე, რომელიც სისტემატურად უნდა შეივსოს ახალ ახალი მასალებით. ასეთი მუშაობის შედეგად შევძლებთ საბჭოთა ბიბლიოგრაფიის მიღწევების ჩაყენებას მშრომელთა სამსახურში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის დაგეგმვა და აღრიცხვა

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა, როგორც სარაიონო ბიბლიოთეკების ერთ-ერთი საპასუხისმგებლო უბანი, თავისებურ ასახვას უნდა პოულობდეს ბიბლიოთეკის წლიურ და კვარტალურ სამუშაო გეგმებში.

როგორც წლიურ, ისე კვარტალურ სამუშაო გეგმაში საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის დარგში განსახორციელებელი საკითხები და ღონისძიებები ძირითადად აისახება წლიური და კვარტალური გეგმის მეორე განყოფილებაში— „მკითხველთა მომსახურეობა“ შემდეგი შინაარსით: „საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერულ-ათეისტური, სასოფლო-სამეურნეო, საწარმოო-ტექნიკური, მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდა და ა. შ. ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები (თემის ზუსტი განსაზღვრით), საინფორმაციო მუშაობა, ბიბლიოგრაფიული მუშაობის თვალსაჩინოების სხვადასხვა საშუალებები და სხვ. გეგმაში შეიტანება ბიბლიოთეკის მასობრივ ღონისძიებათა სხვა სახეების გვერდით. საცნობო-მეთოდური მუშაობის ისეთი სახეები, როგორიცაა რაიონული ორდღიანი საბიბლიოთეკო სექციის ხელმძღვანელობა, ადგილებზე მისვლით პრაქტიკული მეთოდური დახმარების გაწევა საცნობო ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში რაიონის საბიბლიოთეკო დაწესებულებისადმი, ინფორმაცია ახლად გამოსული მასალების შესახებ, მათი მიმოხილვა აისახება გეგმის მე-6 განყოფილებაში—„მეთოდური და ბიბლიოგრაფიული დახმარება რაიონის ბიბლიოთეკებისადმი“. რაიონის მსხვილი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელ მუშაკთა საცნობო ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მომსახურების გაუმჯობესების, მათ მუშაობაში ბიბლიოგრაფიის აქტიურად გამოყენების მიზნით სასურველია შევადგინოთ ცალკე

სამუშაო გეგმა, რომელიც უნდა დაამტკიცოს რაიონმასკომმა.

როგორც ყოველგვარ მუშაობას, ასევე ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობასაც ესაჭიროება ზუსტი აღრიცხვა. საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის კარგად დაყენებული აღრიცხვა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ამ დარგის მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე, ამავე დროს იძლევა რაიონის საწარმო-დაწესებულებების მკითხველთა სხვადასხვა ჯგუფებისა და ბიბლიოთეკის ურთიერთ დამოკიდებულების ზუსტ სურათს. აღრიცხვის საშუალებით ვეცნობით მრავალფეროვან შეკითხვებსა და მოთხოვნილებებს, ამავე დროს შეგვიძლია ნათელი წარმოდგენა გვქონდეს მკითხველთა ინტერესებზე, რაც მათი დიფერენცირებული მომსახურების გაუმჯობესების ერთ-ერთი პირობაა. ჩატარებული მუშაობის აღრიცხვის საფუძველზე ბიბლიოთეკა აკეთებს სათანადო დასკვნებს, დროულად ღებულობს ზომებს ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ყველა სახე, გარდა ცნობებისა, აღირიცხება „მოზრდილთა ბიბლიოთეკის დღიურის" მესამე ნაწილში „მასობრივი მუშაობის აღრიცხვა" (იხ. საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმის ფორმა № 15—გ). გაცემული ბიბლიოგრაფიული ცნობების აღრიცხვა წარმოებს ჩვეულებრივ რვეულში. სანიმუშოდ აქვე მოგვყავს ზესტაფონის სარაიონო ბიბლიოთეკის ზეპირი და წერილობითი ცნობების რვეულის სანიმუშო ფორმა.

№№	თარიღი	მკითხველის გვარი, სახელი მამის სახელი ფორ. №.., თარნამდებ. პრ. ფესია	მუშაობის ადგილი	შეკითხვის მიზანი	შეკითხვის თემა	პასუხი	პასუხ. გაც. თარიღი და ყალო. დ.ს.ხ.	შერჩეული წიგნ. ჩამოთ.	წერილობ. თუ ზეპირი	შესრულებული	შენიშვნა

კვარტალში ერთხელ და წლის ბოლოს რვეულში ჯამდება გაცემული ცნობები, ნაწილდება დარგების მიხედვით და შედის ბიბლიოთეკის წლიურ ანგარიშში.

შენიშვნა: თუ ცნობა ორგანიზაცია-დაწესებულებების მოთხოვნის საფუძველზე იცემა, აღნიშნული ორგანიზაციის დასახელება შეიტანება ცნობების აღრიცხვის რვეულის მესამე სვეტში. გაცემული წერილობითი ცნობების პირები ჩაიწყობა კონვერტებში თემის ან სათაურის წარწერით და განლაგდება ყუთში ანბანის მიხედვით, ამგვარად, ვღებულობთ გაცემულ ცნობათა თემების ან საკითხების ანბანურ განლაგებას.

საცნობო ბიბლიოგრაფიული მუშაობა მთელი მისი მოცულობით ზუსტად უნდა აისახოს ბიბლიოთეკის წლიურ და კვარტალურ ანგარიშში (ცალკე თავად გამოყოფით), რომელშიც შემდეგი ძირითადი საკითხები უნდა იქნეს ფიქსირებული: 1. როგორ კომპლექტდება ან როგორაა დაკომპლექტებული ბიბლიოთეკის საცნობო ბიბლიოთეკა (ჩამოითვლება ძირითადი ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა) 2. რა დახმარებას უწევს რესპუბლიკის წამყვანი ბიბლიოთეკებიდან მიღებული საცნობო-ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები, სარეკომენდაციო სიები და სხვა სარაიონო ბიბლიოთეკას თავის მუშაობაში. 3. კარტოთეკების დასახელება. 4. გაცემული ზეპირი და წერილობითი ცნობების რაოდენობა (ერთი ან ორი აქტუალური ცნობის დასახელება. მკითხველთა რომელ ჯგუფებზე იცემოდა ცნობები მეტწილ შემთხვევებში: კოლმეურნეებზე, მოსწავლეებზე. სოფლის მოწინავე ადამიანებზე და სხვ.). 5. ცნობების აღრიცხვა, აღრიცხვის რვეულის ფორმა 6. ჩატარებული ბიბლიოგრაფიული მიმოხილვების რაოდენობა (თემებისა და დამსწრე მკითხველთა რაოდენობის ჩვენებით). 7. კითხვის გეგმების შედგენის რაოდენობა (ერთი ან ორი მკითხველისათვის შედგენილი გეგმის მოკლე ანალიზით). 8. საინფორმაციო მუშაობა (ახალი წიგნების შესახებ ინფორმეციები პრესაში; დგება თუ არა ახლად მიღებულ წიგნებზე სარეკომენდაციო სიები. 9. კითხვა-პასუხის საღამოების რაოდენობა, შეკითხვების რაოდენობა, ერთი ან ორი შეკითხვისა და მასზე გაცემული პასუხის ტექსტის მოტანა ანგარიშში).

10. აწარმოებს თუ არა ბიბლიოთეკა ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდას მკითხველებში და რაფორმით. 11 არსებობს თუ არა ბიბლიოთეკაში საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის შესახებ მკითხველთა შენიშვნების, გამოძახილების რვეული. წლიურ ან კვარტალურ ანგარიშში ყველა ამ საკითხის ერთ თავში გაერთიანება და ასეთი თანმიმდევრობით განლაგება საჭიროა იმისათვის, რომ ანგარიშის განხილვის დროს ნათელი სურათი გვქონდეს ამ დარგში ჩატარებული მუშაობის შესახებ და არ იყოს იგი გაბნეული ბიბლიოთეკის ანგარიშის სხვადასხვა თავებში.

იმ დიდი ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეში, რასაც პარტია და მთავრობა უსახავს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, სერიოზული დახმარების გაწევა შეუძლიათ საბიბლიოთეკო ფრონტის მუშაკებს. ჩვენი მოვალეობაა, შეუფერხებლივ მივაწოდოთ მშრომელებს ყველა ის ლიტერატურა, რომელიც დაეხმარება მათ თავიანთი საწარმოო საქმიანობის ამაღლების საქმეში, აქტიურად ვიბრძოლოთ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა თითოეული საბჭოთა მშრომელამდე დაყვანისათვის, სახალხო მეურნეობის მოწინავე ადამიანთა გამოცდილება და შრომის პროგრესული მეთოდები, ბიბლიოთეკის მუშაობის პრაქტიკაში არსებული ყველა ფორმების მაქსიმალურად გამოყენებით გადავაქციოთ მრავალმილიონიანი მშრომელების კუთვნილებად.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა მუშაობის სხვა ფორმებსა და მეთოდებთან ერთად მოხერხებულად გამოვიყენოთ რამდენიმე ათეული წლების მანძილზე ჩვენს ბიბლიოთეკებში დაგროვილი მოწინავე გამოცდილება და საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა გადავაქციოთ მოწინავე უბნად, ბიბლიოგრაფია ჩავაყენოთ საბჭოთა მკითხველის სამსახურში.

ბარანოვის სახ. საქ. სახელმწიფო
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	გვ.
შესავალი	3—8
1. საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ორგანიზაცია და აპარატი	9—16
ა) საცნობო, ბიბლიოთეკა	10—16
2. კატალოგების, თემატური კარტოთეკების ორგანიზაცია და მათი გამოყენება საცნობო-ბიბლიოგრაფულ მუშაობაში	17—41
ა) კატალოგი	17—20
ბ) კარტოთეკები	20—25
გ) ბიბლიოგრაფიული კარტოთეკის შედგენის საერთო საკითხები	25—30
დ) თემატური სარეკომენდაციო კარტოთეკა	30—36
ე) რეცენზიებისა და ინდივიდუალურ პირთა კარტოთეკა	36—38
ვ) კარტოთეკა „ჩვენი მხარე“, „ჩვენი რაიონი“	38—41
3. საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ფორმები და მეთოდები	42—65
ა) ცნობების გაცემა	42—47
ბ) ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა	47—51
გ) საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა	52—54
დ) კითხვა-პასუხის საღამო	54—57
ე) კითხვის ინდივიდუალური გეგმა	57—61
ვ) ლიტერატურის სარეკომენდაციო სია	61—65
4. ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდა მკითხველთა შორის	66—69
5. საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის დაგეგმვა და აღრიცხვა	70—73

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეკ. № 927. უე — 04706. ტ. 1000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომ-
ცემლობის 1-ლი სტამბა. თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.

1-я типография Главполиграфиздата Министерства
культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

18-12/381

უფასო

ეროვნული ბიბლიოთეკა

Министерство культуры
Грузинской ССР.

Государственная республиканская
библиотека Грузинской ССР
им. К. Маркса.

Л. Квирикашвили

СПРАВОЧНО-БИБЛИОГРАФИЧЕСКАЯ РАБОТА В РАЙОННОЙ БИБЛИОТЕКЕ

Тбилиси
1957 г.